

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ფერადე ანა

გაკოტრების მმართველის სტატუსი

ვალაუვალობის სამართლის რეფორმის ჭრილში

სამაგისტრო ნაშრომი კერძო სამართალში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული

კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის ასოც.

პროფესორი, სამართლის

დოქტორი.

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ანა ფერაძე _____ / 2019 წელი.

ანოტაცია

დღესდღეობით როდესაც საბაზრო ეკონომიკა მნიშვნელოვნად ვითარდება და თითქმის ყოველდღიურად იქმნება ახალი კომპანიები თუ კორპორაციები, ყალიბდება მენარმე სუბიექტები, იზრდება გაკოტრების სამართლის მნიშვნელობა და როლი. ვალაუვალობის ანუ გაკოტრების სამართალი ქართული, და არა მარტო ქართული, სამართლებრივი სივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ამ სისტემის სამართლებრივი გამართულობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

1996 წლის 25 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც 1997 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში. ათი წლის შემდგომ, 2007 წელს გაკოტრების კანონი ჩაანაცვლა „ გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელშიც განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები , რაც მოიცავდა ვალაუვალობის ინსტიტუტების შინაარსის ცვლილებებსაც.

გაკოტრების მმართველის ინსტიტუტი ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. იგი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს კანონის ცვლილების შედეგად წარმოშობილ პრობლემათა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს, გაკოტრების საქმის წარმოების მმართველის ფუნქციების ცვლილებას, რომელმაც, თავის დროზე, ვალაუვალობის საქმის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა დღეს უბრალოდ ფორმალურ მმართველად აქცია. მასში განხილულია გაკოტრების საქმის წარმოების მმართველის სტატუსის ცვლილება ვალაუვალობის სამართლის რეფორმის ჭრილში. შედარებულია სხვადასხვა უცხო ქვეყნის სამართლთან, დასმულია პრობლემური საკითხი და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მითითებულია რეკომენდაციები პრობლემის გადასაჭრელად.

Changing the status of the bankruptcy manager (trustee) in the context of insolvency law amendment

Annotation

Nowadays when the market economy is developing and new companies or corporations are created almost daily, entrepreneurial subjects are formed, the importance and the role of bankruptcy law increases. The meaning of bankruptcy and insolvency law is increasing, not only in Georgia, but in the whole legal area too. It is one of the most important legal system and precondition for development of country's economic.

On 25th June 1996, the Parliament of Georgia adopted the Law on Bankruptcy Affairs, which entered into force on January 1, 1997. Ten years later, in 2007, Bankruptcy Law replaced the Law of Georgia on Insolvency Case, which included a number of amendments that included changes to the content of Insolvency.

This paper includes one of the most important issues among the problems that resulted from the changes in the law, the change of the functions of the manager of the bankruptcy proceedings, (on another name, manager of bankruptcy proceedings is referred to "Trustee") which, at one time, was one of the important figures of the bankruptcy process but now this is just simply formal ruler. It discusses the problem which is caused by changing of managerial status of the bankruptcy case under the terms of the Law of Insolvency. The latest legislation is composed to foreign countries. There is reviewed a problematic issues and recommendations to solve the problems.

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი 1. გადახდისუნარობის სამართლის წარმოშობის ისტორია	10
1.1 ინგლისი - გაკოტრების პირველი საკანონმდებლო აქტები	12
1.2 გაკოტრების სამართლის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში	13
1.3 გადახდისუნარობის სამართლის წარმოშობა საქართველოში	14
თავი 2. გაკოტრების მმართველის შედარება საქართველოს 1996 და 2007 წლის კანონმდებლობის მიხედვით.....	18
2.1 გაკოტრების მმართველი საქართველოს 1996 წლის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით.....	19
2.2 გაკოტრების მმართველი საქართველოს 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის მიხედვით	23

2.3 შედარება საქართველოს 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების კანონსა და 2007 წლის გადახდისუნარობის კანონს შორის.....27

თავი 3. გაკოტრების მმართველი უცხო ქვეყნების სამართალში.....36

3.1 გაკოტრების მმართველის რეგულირება ამერიკის შეერთებული შტატებში და შედარება ქართულ სამართალთან.....39

3.2 UNCITRAL - (United Nations Commission on International Trade Law) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ რეგულაციები და მათი შედარება ქართულ სამართალთან.....4

5

თავი 4. 4.1 ახალი კანონპროექტი.....52

4.2 კრიზისი, როგორც შესაძლებლობა53

დასკვნა.....58

გამოყენებული ლიტერატურა60

შესავალი

21-ე საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ გლობალურ ტრანსნაციონალურ კორპორაციული რეჟიმების სამყაროდ, რადგან დღესდღეობით უმეტესი საქმიანობა კომპანიების მეშვეობით ხორციელდება. იმისათვის, რომ კომპანიებმა შეძლონ თავიანთი საქმიანობის ეფექტურად განხორციელება აუცილებელია, რომ მათი დაცვის მექანიზმები პირველ რიგში შიდასახელმწიფოებრივად იყოს დარეგულირებული. გადახდისუნარობის სისტემის სირთულე მნიშვნელოვნად აზიანებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას, იგი პირდაპირ უშლის ხელს ინვესტიციების შემოსვლას. სწორედ ეს არის მიზეზი იმის, რომ მე გადავწყვიტე მესაუბრა გაკოტრების სამართლის კანონის ცვლილების ერთ - ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე - გაკოტრების მმართველის სტატუსის ცვლილებაზე, რადგან მიმაჩნია, რომ მისი მონაწილეობა და ფუნქციები, რომლებიც 1996 წლის კანონით გააჩნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაკოტრების საქმის სრულყოფილი და ეფექტური წარმოებისთვის. ის ფაქტი, რომ დღეს არსებული გადახდისუნარობის 2007 წლის კანონი არაეფექტური და ხარვეზიანია დადასტურებულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტების მიერ.

„ კანონი არ მუშაობს, შეიძლება 100 000 - ზე მეტი საწარმო იყოს შექმნილი და მთელი ქვეყნის მასშტაბით 50 - ზე მეტი გაკოტრება არ მიმდინარეობდეს? მაშინ, როდესაც გერმანიაში 100 საწარმო რომ იქმნება, 80 კოტრდება, ეს ჩვეულებრივი

ამბავია.” - აცხადებს ერთ - ერთ ინტერვიუში გაკოტრების სამართლის სპეციალისტი როინ მიგრაიული.¹

ამავე სტატიაში, ჯერ კიდევ 2016 წელს ეკონომიკის მინისტრი აღნიშნავს, რომ ძალიან ბევრი საკითხია დასახვეწი გადახდისუნარობის სამართალში :

„ძალიან ბევრი საკითხია, გადახდისუნარობის კანონმდებლობაში ცვლილებებია შესატანი ბევრი კუთხით, მათ შორის რეაბილიტაციის დაწყების უფლებებთან დაკავშირებით, ბიზნესის დახურვა ეს ცალკე თემაა. იუსტიციის სამინისტრო მუშაობს შესაბამის პროექტზე. სავარაუდოდ, წლის ბოლოს შევა პარლამენტში, შესაძლოა, მომავალი წლის დასაწყისშიც, რადგან საკმაოდ რთული საკითხია“.²

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანი პარლამენტში გამოსვლისას გადახდისუნარობის კანონს „აქილევსის“ ქუსლი უწოდა და მისი ცვლილების აუცილებლობაზე ისაუბრა.³

საკითხის აქტუალობაზე ერთხმად თანხმდება ყველა. რაც შეეხება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების შემცირებასთან დაკავშირებულ პრობლემას. ძველი კანონმდებლობით იგი წარმოადგენდა გაკოტრების საქმის წარმოების ცენტრალურ ფიგურას, რომელიც უამრავ საპასუხისმგებლო საქმიანობას ახორციელებდა და იყო სრულიად დამოუკიდებელი თავის კომპეტენციაში. მას შეეძლო, მაგალითად : მოვალის ქონების მოძიება, სავალდებულო მასამდე დაყვანა, მასაში შემავალი ქონების გასხვისება, მასის

¹ ინტერნეტ მასალა. Eugeorgia.info - ს სტატია „ გადახდისუნარობის სისტემის სირთულე ინვესტიციების შემოსვლას აფერხებს “. იხ. <http://eugeorgia.info/ka/article/406/gadaxdisuunarobis-sistemis-sirtule--investiciebis-shemosvlas-afexs/> . (11.06.2019)

² ინტერნეტ მასალა. Eugeorgia.info - ს სტატია „ გადახდისუნარობის სისტემის სირთულე ინვესტიციების შემოსვლას აფერხებს “. გვ. 2. იხ. <http://eugeorgia.info/ka/article/406/gadaxdisuunarobis-sistemis-sirtule--investiciebis-shemosvlas-afexs/> . (11.06.2019)

³ ინტერნეტ მასალა : თეა წულუკიანი „ გადახდისუნარობისა და აღსრულების მიმართულებით მასშტაბური ცვლილებები დაიწყება “. იხ : http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8441 (27.05.2019)

საგნების რეალიზაცია, ნივთების გაყიდვა - როგორც აუქციონზე აგრეთვე აუქციონის გარეშე, ქონების გაყიდვა - როგორც კონკურსის აგრეთვე პირდაპირი წესით, კრედიტორთა დაკმაყოფილება, საწარმოს მართვა⁴, მესამე პირებთან არსებული ხელშეკრულებების შეწყვეტა თუ დადება, მათი გაგრძელება ან გაუქმება და მრავალი სხვა. იგი მოვალის სახით მის წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც ახორციელებდა.⁵

1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების თანხმად გაკოტრების საქმის წარმოების მმართველი საქმის გახსნიდან მის დასრულებამდე აქტიურად იყო ჩართული პროცესში და მნიშვნელოვანი მისიაც ჰქონდა. იგი მთავარი ფიგურანტი და აქტიორი იყო, რადგან გაკოტრების წარმოებისას განხორციელებული საქმიანობის შუაგულში იდგა.⁶ ხოლო 2007 წლის გადახდისუნარობის კანონით მისი უფლებები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი და შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი კანონმდებლობით იგი მხოლოდ ფორმალურ მმართველს წარმოადგენს. ახლა მისი საქმიანობის ძირითად ფუნქციებს საჯარო სამსახურის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო ითავსებს, რაც არასწორია. რადგან იგი უფრო აბსტრაქტულია, ორიენტირებულია მხოლოდ ვალდებულების შესრულებაზე, ხოლო მმართველის მიზანი კი იყო საკუთარი ვალდებულებების უფრო ხელსაყრელად და მომგებიანად შესრულება, რაც მთლიანობაში დადებითად აისახებოდა როგორც მასზე, აგრეთვე მთლიანად საქმის წარმოების

⁴ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20), თავი მე-2, მუხლი 15. ინტერნეტ მასალა, იხ. :

⁵ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20) თვი მე - 2, მუხლი მე- 16. ინტერნეტ მასალა, იხ. :
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

⁶ როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017 წელი.თავი მე-3. ნაწილი მე-3. გვ.82.

დასრულებისას დამდგარ შედეგზე. თუმცა, ამ და სხვა გარემოებებზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.⁷

თავი 1

გადახდისუნარიობის სამართლის წარმოშობის ისტორია

ანტიკურ ქვეყნებში გაკოტრება, როგორც სამართლის დარგი არ არსებობდა. მაგალითად, ძველ საბერძნეთში, თუ პირს რაიმე მართებდა და გადახდა არ შეეძლო, ის, ან მისი ცოლი, შვილი ან მოსამსახურე იძულებულნი იყვნენ ემუშავათ კრედიტორთან როგორც მონას, მანამ, სანამ თავიანთი სამსახურით არ აანაზღაურებდნენ კრედიტორის დანაკარგს. თუმცა, ჩვეულებრივი მონებისგან განხვავებით მათ სიცოცხლის უფლება გააჩნდათ.

ისლამურ სწავლებაში, ყურანის მიხედვით, გადახდისუნარო პირს ეძლეოდა გარკვეული დრო, რომ გადაეხადა თავისი ვალი. ყურანის მეორე ნაწილში, რომელსაც „სურა ალ-ბაქარა“ -დ მოიხსენიებენ, განმარტებულია, რომ თუ პირი არის გაჭირვებაში, მას უნდა მიეცეს დრო, სანამ შეძლებს მდგომარეობის შემსუბუქებას, ხოლო თუ შენ შენს უფლებას დათმობ, მაშინ ეს შენთვისვეა უკეთესი.

(283V)

⁷ როინ მიგრაიული, „ქართული კერძო სამართლის საკითხები, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა პუბლიკაციები“, მე-2 შევსებ. გამოცემა. თბილისი 2016წ., გვ 70-80

თუ ანტიკურ ქვეყნებში, მოვალეს მონური სამუშაოს შესრულება უწევდა, მომდევნო პერიოდში, უკვე შუა საუკუნეებში, კანონიკური სამართლი ინტენსიურად განიხილავდა დებულებებს, რომ შეემცილებინა მკაცრი მოპყრობა მოვალის დასჯისას. კომენტატორების უმეტესობა ემხრობოდა მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას და შანსს, რომ დაეწყო ცხოვრება სუფთა ფურცლიდან, მას შემდეგ რაც კრედიტორს მისცემდა მთელს მის სარგებელს, რომელიც ვალდებულებით მისთვის ემართა. (შესაძლებელია, გარკვეული უმნიშვნელო ვალდებულებების გამოკლებით). ამ დებულებამ მოგვიანებით გავლენა მოახდინა ინგლისის სამართალზე.

გაკოტრება დოკუმენტირებული იყო აღმოსავლეთ აზიაში. ალ - მაქრიზის თანახმად, ჩინგიზ ხანმა კანონების კრებულში - იასაში, შეიტანა დებულება, რომლის თანახმად, პირი, რომელიც გაკოტრდებოდა სამჯერ, სიკვდილით უნდა დაესაჯათ.⁸

გაკოტრება, როგორც ინსტიტუტი პირველად ძველ რომში წარმოიშვა. თუმცა მანამდე, ბუნებითი სამართლი მოქმედებდა, ანუ, საზოგადოებაში არსებული ჩვეულებებით ხდებოდა მოვალისგან ვალის მიღება და კრედიტორთა დაკმაყოფილება. თუ პირი ვალს ვერ გადაიხდიდა მას ქონებას ჩამოართმევდნენ. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო, რომ ვალის ანაზღურებისთვის თავისი ჯანმრთელობით ან სიცოცხლითაც კი ეგოთ პასუხი.

მე - 16 საუკუნეში მოხდა გაკოტრების სამართლის სისტემის ჩამოყალიბება რომში და იქიდან გავრცელდა ევროპაში. პირველად მან განვითარება ჰპოვა

⁸ ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy Law. იხ. : https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law (12.06.2019 წელი)

გერმანიაში. ეს უკანასკნელი კი ქართული გაკოტრების სამართლის განვითარების საფუძველი გახდა.⁹

„ გაკოტრების სამართლის განვითარებაში გამოიყოფა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეტაპი, პირველი ეტაპი ხასიათდება პიროვნების ეგზეკუციით. კრედიტორისთვის აღსრულების ობიექტი იყო მოვალის პიროვნება, სახელდობრ, მისი თავისუფლება, ჯანმრთელობა, სხეული და სიცოცხლეც კი. რაც შეეხება მოვალის ქონებას, როგორც აღსრულების ობიექტს, იგი იშვიათად თუ მოიხსენებოდა. ამ პერიოდში კრედიტორის ნება - სურვილს უპირატესი ადგილი ეკავა, რომლის მიმართაც ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ შესწევდა უნარი, რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. გაკოტრების სამართლის განვითარების მეორე ეტაპი კი მოვალის ქონების ეგზეკუცია იყო. მისი შემოღებით კრედიტორმა არჩევანის შესაძლებლობა მოიპოვა, ანუ მას შეეძლო, თავად ამოერჩია, თუ რომელ ღირებულებაზე მოეხდინა აღსრულება - პიროვნებაზე თუ ქონებაზე.“¹⁰

1.1 ინგლისი - გაკოტრების პირველი საკანონმდებლო აქტები

ინგლისში პირველი აღიარებული კანონმდებლობა იყო გაკოტრების სტატუტი, რომელიც პარლამენტის მიერ 1542 წელს, ჰენრი VIII - ს მეფობის დროს იქნა დაშვებული. გაკოტრებული პირები მიიჩნეოდნენ თაღლითებად. დადგენილი აქტის მიზანი იყო, რომ თვიდან აეცილებინათ ეგრეთ წოდებული „ ეშმაკი მოვალეების “ სამეფოდან გაუჩინარება.

⁹ როინ მიგრაიული, „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში“ (დამხმარე სახელმძღვანელო,თავი მე-11, ნაწილი 1-ლი, გვ.266. მე-3 გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი,2017

¹⁰ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4. გვ. 784 – 786.

¹⁰ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4. გვ. 784 – 786.

ინტერნეტ მასალა იხ :

<http://www.library.court.ge/upload/gakotrebis%20samartlis%20istoria.pdf?fbclid=IwAR3FDcBsFuj8Wwry077LgZx68zS3Xxq5Vd16lwAVsdr016FsCpWZ2GLcY> (21.05.2019 წელი)

გაკოტრების აქტის უფრო ჰუმანური მიდგომა შემუშავდა 1705 წელს. ლორდის კანცლერს მიენიჭა უფლებამოსილება, რომ გაათავისუფლოს გაკოტრებული პირები პასუხისმგებლობისგან, მას შემდეგ, რაც ყველა აქტივი იქნება მოძიებული და გარკვეული პროცედურები შემუშავებული.¹¹

ჯერ კიდევ მე - 19 საუკუნის დასაწყისში გაკოტრებული პირი შებოჭილი იყო კრედიტორის მიერ. ინგლისის 1813 წლის გაკოტრების დებიტორის აქტის თანახმად, მოვალეს ციხეში ყოფნიდან 14 დღის შემდეგ შეეძლო მოეთხოვა განთავისუფლება ფიცის აღებით იმის შესახებ, რომ მისი აქტივები არ აღემატებოდა 20 სტერლინგს. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კრედიტორი ამ მოთხოვნას უარყოფდა, მოვალე ვალდებული იყო დარჩენილიყო ციხეში.

დროდადრო დამოკიდებულებები იცვლებოდა. ინგლისის 1825 წლის გაკოტრების აქტის თანახმად, ხალხს მიეცა უფლებამოსილება დაენციოთ გაკოტრების პროცედურები, თუმცა ამისთვის საჭირო იყო კრედიტორთა თანხმობა. მანამდე მხოლოდ კრედიტორებს ჰქონდათ გაკოტრების პროცედურების წამოწყების უფლება.

მე - 19 საუკუნის შუა პერიოდიდან კორპორაციების მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იცვლებოდა. პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა. ხალხს შეეძლო კომპანიების შექმნა სამეფო წესდების დამოუკიდებლად. კომპანიებს მიეცათ უფლება შეეტანათ სარჩელი, აგრეთვე შესაძლებელი იყო მათ წინააღმდეგაც სარჩელის შეტანა. საბოლოოდ გაკოტრების 1869 წლის აქტმა უფლება მიანიჭა ყველა ადამიანს და არა მხოლოდ ვაჭრებს, რომ სარჩელი შეეტანათ გაკოტრების საქმის წარმოებაზე.¹²

¹¹ ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy Law . იხ. : https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law (11.06.2019 წ.)

¹² ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy Law . იხ. : https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law (11.06.2019 წ.)

1.2 გაკოტრების სამართლის ისტორია აშშ - ში

გაკოტრების სამართლის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითადად კონგრესის აქტებს უკავშირდება. როდესაც სამართლებრივი რეჟიმი განვითარდა იგი გამოვიდა იმ სისტემიდან, რომელშიც გაკოტრება კრიმინალურ დანაშაულად მიიჩნეოდა. იგი ფოკუსირდა ხალხისა და ბიზნესისთვის პრობლემატური საკითხების გადაჭრასა და ვალების გადახდაზე, რომელიც მძიმე დანაკარგებით იყო გამოწვეული.

აშშ - ს კონსტიტუციის რატიფიკაციის შემდგომ, 1789 წელს კონგრესს მიენიჭა უფლებამოსილება 1-ლი ნაწილის, მე- 8 სექციის, მე - 4 მუხლის თანახმად, შეიმუშავოს ერთიანი კანონმდებლობა გაკოტრების სამართლის საკითხებზე, მთელი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

კონგრესის პირველი აქტი გაკოტრების სამართალში გამოიყენა 1800 წელს ვაჭრებისთვის და ითხოვდა არაგვეგმიურ სამართალწარმოებას. ეს აქტი 3 წლის შემდგომ, 1803 წელს გაუქმდა.

1841 წელს აშშ - ში გამოიყენა პირველი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც წარმოიშვა ნებაყოფილობითი გაკოტრება. ეს და შემდგომში გაკოტრების 1898 წლის აქტი მოიხსენიება როგორც ნელსონის აქტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე კონსეფტებს კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობაში.¹³

1.3 გადახდისუნარიობის სამართლის წარმოშობა საქართველოში

საქართველოში გაკოტრების სამართალს საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 30 - იან წლებში. პირველად ქართულ სამართალში, გაკოტრება როგორც სამართლის ინსტიტუტი 1931 წელს მოქმედ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში აისახა. კოდექსის მეორე დანართის I კარში მოცემული იყო „წესები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა არაშემძლეობის შესახებ“, რომელიც მოიცავდა 7

¹³ ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy law in the United States. https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law_in_the_United_States (12. 06. 2019 წ.)

კარსა და 46 მუხლს. თავისი შინაარსით, „არაშემძლეობა“ სრულიად ესადაგებოდა დღევანდელ გაკოტრებას...¹⁴

სასამართლო პირს „არაშემძლედ“ სცნობდა თავისი დადგენილებით. რომელიც უნდა გამოქვეყნებულიყო გაზეთში და გადაგზავნილიყო შესაბამის სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოში. დადგენილი იყო აგრეთვე იმ სუბიექტთა წრე, რომელთაც შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსთვის „არაშემძლეობის“ საქმის აღსაძვრელად. ესენი იყვნენ :

- სააღსრულებლო ფურცლის ან სააღსრულებო წარწერის მქონე კრედიტორი
- კრედიტორი, რომელმაც განაცხადა, რომ მოვალის ქონება არ არის საკმარისი მისი ვალის დასაფარად
- მოვალე
- სახელმწიფო ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა მეურნეობის იმ დარგის მონესრიგება, რომელიც მოვალის საწარმოს შეეხებოდა.
- პროკურორი ¹⁵

„ არაშემძლეობის “ საფუძველი იყო ვალის გასტუმრების უუნარობა, ხოლო სამხილი - ვალების გადახდის შეწყვეტა. მოვალის „არაშემძლედ“ ცნობის შემდეგ სასამართლო მიმართავდა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს წინადადებით, რომ დაენიშნა ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი, რომელთაც გადაეცემოდათ მოვალის ქონების მართვა - გამგებლობისა და განკარგვის უფლება. სასამართლოს მიერ განსაზღვრული სალიკვიდაციო ვადა ძირითადად ერთ წელს წარმოადგენდა. სასამართლო აგრეთვე მიმართავდა სახელმწიფო ორგანოს

¹⁴ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4. გვ. 784 – 786. ინტერნეტ მასალა იხ : <http://www.library.court.ge/upload/gakotrebis%20samartlis%20istoria.pdf?fbclid=IwAR3FDcBsFuj8Wwry077LgZx68zS3Xxq5Vd16lwAVsdr016FsCpWZ2GLcJcY> (21.05.2019 წელი)

¹⁵ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „მუშათა და გლეხთა კანონთა და განკარგულებათა კრებული“ 1931წელი , N 19. დანართი მე-2, კარი მე-2. მუხლი 205. გვ 513.

დაენიშნა „ განსაკუთრებული“ პირი, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოს ქონების დაცვას, ვიდრე ლიკვიდატორები შეუდგებოდნენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას.¹⁶

სტუდენტური ფორუმის სტატიაში საუბარია აგრეთვე იმ შემთხვევებზე, რომელსაც სასამართლო მოვალეს უწესებდა „არაშემძლედ“ გამოცხადების დღიდან. იკძალებოდა მოვალის ქონების გასხვისება და გადაცემა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული „არაშემძლე“ მოვალის მიმართ სასამართლოში არსებობდა სარჩელით აღძრული საქმეები, მსგავსი სახის საქმეები ექვემდებარებოდა შეჩერებას.¹⁷

1931 წლის კოდექსი ითვალისწინებდა აგრეთვე გარიგებების, ფულადი გადახდებისა და გასხვისებების გაბათილების შესაძლებლობას, რაც განხორციელებული იყო მოვალის „არაშემძლედ“ ცნობამდე.¹⁸

„ ქონების რეალიზაციას ახდენდნენ ლიკვიდატორები, იმ სახელმწიფო ორგანოს ზედამხედველობითა და კონტროლით, რომელმაც დანიშნა ისინი. სახელმწიფო ორგანო ამტკიცებდა აგრეთვე ქონების გაყიდვის წესს. ლიკვიდაციის დამთავრებისა და კრედიტორთა პრეტენზიების განხილვის შემდეგ ლიკვიდატორები ადგენდნენ მიღებული თანხების საერთო მოცულობას და კრედიტორებისთვის მათი განაწილების ანგარიშს. შედგენილი ანგარიშები

¹⁶ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - ვაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა გვ. 792. 7/2004/4. ინტერნეტ მასალა იხ : <http://www.library.court.ge/upload/gakotrebis%20samartlis%20istoria.pdf?fbclid=IwAR3FDcBsFuj8Wwry077LgZx68zS3Xxq5Vd16lWAVsdr016FsCpWZ2GLcJcY> (21.05.2019 წელი)

¹⁷ კანონთა და განკარგულებათა კრებული 1931 , N 19. ინტერნეტ მასალა იხ. : http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/43214/1/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1931_N19.pdf (20.05.2019 წელი)

¹⁸ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „მუშათა და გლეხთა კანონთა და განკარგულებათა კრებული“ 1931წელი , N 19. დანართი მე-2, კარი მე-2. მუხლი 205. გვ 513. ინტერნეტ მასალა, იხ. :

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/43214/1/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1931_N19.pdf (20.05.2019 წელი)

დასამტკიცებლად წარედგინებოდა სასამართლოს, რომლის შემდეგაც ლიკვიდატორები მისცემდნენ კუთვნილ თანხებს კრედიტორებს.¹⁹

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1931 წელს არსებობდა ჩვენს ქვეყანაში ასე დეტალურად განერილი, როგორც სასამართლოს, აგრეთვე კრედიტორთა, ლიკვიდატორთა და მოვალის უფლებები და ვალდებულებები „არაშემძლეობის“ საქმის წარმოებისას. ვფიქრობ, თავისი ფორმირებებით არც კი ჩამოუვარდებოდა, არა მხოლოდ 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონს, არამედ 2007 წლის გადახდისუნარიობის კანონსაც კი. თუმცა, არსებობს, გარკვეული ნიუანსები, რომელებიც, რა თქმა უნდა, დახვეწას საჭიროებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაიწყო სამართლის რეფორმა, მისი განახლება და განმტკიცება. ეს რეფორმა შეეხო გაკოტრების სამართალსაც. პირველი აქტი ამ კუთხით არის 1992 წლის „საწარმოთა გაკოტრების შესახებ“ საქართველოს საბჭოს დეკრეტი. თუმცა, როგორც „სტუდენტურ ფორუმში“, გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიულ მიმოხილვაში არჩილ რუხაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი) აღნიშნავს, ვიდრე იგი გაუქმდებოდა, 1997 წლის 1-ლ იანვარს, მის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, აღნიშნული აქტი „მკვდრადშობილ“ კანონად არის მოვლენილი.²⁰

როგორც ზემოთ ხსენებულ სტატიაშია მითითებული 1992 წლის აქტის პრაქტიკაში გამოუყენებლობას სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. ეს აიხსნებოდა არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური პირობებით, არამედ იმითაც, რომ როგორც ნორმატიული აქტი შორს იყო

¹⁹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „მუშათა და გლეხთა კანონთა და განკარგულებათა კრებული“ 1931წელი, N 19. დანართი მე-2, კარი მე-2. მუხლი 205. გვ 513. ინტერნეტ მასალა, იხ. :

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/43214/1/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1931_N_19.pdf (20.05.2019 წელი)

²⁰ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4. გვ. 794.

სრულყოფილებისგან, რადგან მასში გათვალისწინებული არ იყო სხვა ქვეყნების პრაქტიკა.²¹

გერმანული კანონმდებლობის გათვალისწინებით 1996 წელს მიღებული იქნა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც 2007 წელს ჩაანაცვლა გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონმა და რომელიც დღემდე მოქმედებს.

„ არსებობს უამრავი გარემოება, რომელთა გამოც სანარმო იძულებული ხდება, თავისი ეკონომიკური აქტივობა მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს. ეს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი რამაა, ისევე როგორც შესაძლებლობა, დააარსო ახალი სანარმო ან გაათავართო არსებული. ეკონომიკური აქტივობის შესაწყვეტად სულაც არ არის სავალდებულო, ეს მოხდეს სანარმოს ვალაუვალობის საფუძველზე. სანარმოს ვალაუვალობამ იქამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ სანარმოს ეკონომიკური აქტივობაც შეწყდეს. ძალზე ზოგადი განმარტებით, ვალაუვალობა ნიშნავს სანარმოს უუნარობას, გადაიხადოს თავისი ვალეები, როცა მათი გადახდის ვადა დამდგარია.“²²

თავი 2

²¹ არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4. გვ. 794.

²² როინ მიგრაიული, ჰაინრიხ შნიდკერი - გადახდისუუნარობის საქართველოს კანონ, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველო კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, „ზოგადი შენიშვნები ვალაუვალობის კანონის შესახებ“. გვ. 11. გამომცემლობა შპს „სიესტა“, თბილისი, 2011 წელი.

გაკოტრების მმართველის შედარება საქართველოს 1996 და 2007 წლის კანონმდებლობის მიხედვით

„ 2007 წლის 15 აგვისტოდან ამოქმედდა საქართველოში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 28 მარტს მიიღო. ახალი კანონის მიღებისთანავე ძალა დაკარგა 1996 წლის 25 ივნისის მიღებულმა კანონმა „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“. ახალმა კანონმა სათავე დაუდო სრულიად ახალი, განსხვავებული სამართლის დარგის - გადახდისუუნარობის სამართლის - შემოღებასა და განვითარებას“.²³

როგორც წესი ახალი კანონის მიღება უკვე არსებულის გაუმჯობესებას ემსახურება ხოლმე, თუმცა ამ ცვლილებას იმთავითვე დიდი რეზონანსი და როგორც ქართველი, აგრეთვე უცხოელი ექსპერტების უკმაყოფილება მოჰყვა. იმისათვის, რომ უფრო დეტალურად განვიხილოთ ახალ კანონში არსებული პრობლემები, რომელიც გაკოტრების მმართველის სტატუსის ცვლილებამ გამოიწვია, უმჯობესია განვმარტოთ თითოეული კანონი ცალ - ცალკე. ჩემს შემთხვევაში განვიხილავ მმართველის სტატუსის ცვლილებასთან არსებულ პრობლემებს, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ მთელი რიგი საკითხებია, რომლებიც შესწორებას საჭიროებს.

როინ მიგრიაული, გაკოტრების სამართლის ერთ - ერთი წამყვანი სპეციალისტი, ეჭვქვეშ აყენებს 2007 წლის კანონის ეფექტურობას:

„ საეჭვოა ისიც, რომ ახალი კანონის ფარგლებში შესაძლებელი გახდეს მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა.“

²³ როინ მიგრიაული, სტატია : „ გადახდისუუნარობის ახალი კანონის შუქ - ჩრდილები“, ჟურნალი „ ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009 წლის ოქტომბერი. ქართული კერძო სამართლის საკითხები (მეორე შევსებული გამოცემა) გვ. 54. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი. 2016 წელი.

იგი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურად და ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მოვალის გადარჩენის ღონისძიებები დეტალურად 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონში იყო განწერილი.²⁴

2.1 გაკოტრების მმართველი საქართველოს 1996 წლის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით

1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი თავისი შინაარსით და აგებულებით საკმაოდ ჰგავს გერმანულ კანონმდებლობას, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გერმანიის 1877 წლის გაკოტრების დებულება, რომელიც მოიცავდა მატერიალურ და საპროცესო გაკოტრების სამართალს და მთლიანობაში ქმნიდა ქონებრივი პასუხისმგებლობის სამართალს, დაედო საფუძვლად გაკოტრების ქართულ კანონს.²⁵

1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონში დეტალურად არის განწერილი გაკოტრების მმართველის, საქმის წარმოების ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურის, როგორც უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

გაკოტრების კანონის მე-15 მუხლის მიხედვით გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მოვალისა და კრედიტორისგან დამოუკიდებელი პირი, რომელიც არ ეწევა მსგავს საქმიანობას როგორსაც მოვალე. მას ნიშნავს სასამართლო, კრედიტორთა პირველ კრებაზე. თუმცა, კრედიტორები უფლებამოსილნი არიან აირჩიონ სხვა მმართველი პირველ კრებაზე. გაკოტრების მმართველის დამტკიცება ხდება

²⁴ როინ მიგრიაული „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, (მეორე შევსებული გამოცემა) „გადახდისუნარიანობის ახალი კანონის შუქ - ჩრდილები“ გვ. 56. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი. 2016 წელი.

²⁵ სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004/4.გვ. 786-788. ინტერნეტ მასალა იხ : <http://www.library.court.ge/upload/gakotrebis%20samartlis%20istoria.pdf?fbclid=IwAR3FDcBsFuj8Wwry077LgZx68zS3Xxq5Vd16lwAVsdr016FsCpWZ2GLcJcY> (21.05.2019 წელი)

გაკოტრების სასამართლოს მიერ. მას გადაეცემა დანიშვნის დოკუმენტი, რომელსაც საქმის წარმოების დასრულების შემდგომ უბრუნებს სასამართლოს.²⁶

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას გააჩნია პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობების შესრულებაზე გაკოტრების ყველა მონაწილის მიმართ. თუ სახეზე იქნება რაიმე ზიანი, ხოლო მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ იგი გამონვეული არ იყო მისი ბრალეული ქმედებით, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი სრული ოდენობით. მმართველის საქმიანობასთან დაკავშირებით ზედამხედველობას ახორციელებს გაკოტრების სასამართლო. რომელსაც შეუძლია, რომ მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას თანამდებობიდან გაათავისუფლოს არჩეული მმართველი და სხვა პირით ჩაანაცვლოს იგი.

მე - 15 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს, რომ გაკოტრების მმართველი უფლებამოსილი და ვალდებულია თავის მმართველობაში მიიღოს გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად განკარგოს იგი, უფლებამოსილია გააგრძელოს მოვალის საქმიანობა. თუმცა, ვალდებულია, რომ არ განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომელმაც შეიძლება გაართულოს საწარმოს საქმიანობა და მისი გადაცემა მესამე პირისთვის.²⁷

გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია ჩაერთოს ხელშეკრულების დადებისა თუ შეწყვეტის პროცესში. თუ არსებობს მოვალესა და სხვა მხარეს შორის ორმხრივი ხელშეკრულება, მას აქვს უფლება გადანყვიტოს - შეაჩეროს თუ განახორციელოს იგი. გარდა ამისა, მას შეუძლია შეწყვიტოს პრომის ხელშეკრულებები ორ კვირიანი ვადით. აღნიშნული დარეგულირებულია გაკოტრების კოდექსის მე-16 მუხლით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად :

²⁶ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20), მუხლი 15. ინტერნეტ მასალა, იხ. :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

²⁷ იქვე. მუხლი 15, ნაწილი მე - 4.

„ ვალაუვალი მოვალის ქირავნობის ან საიჯარო ურთიერთობები ძალაში რჩება. თუ მოვალე დამქირავებელი ან მოიჯარეა, მაშინ გაკოტრების მმართველს შეუძლია კანონით დაწესებული ვადის დაცვით შეწყვიტოს ეს ურთიერთობები მათი შეწყვეტის შეთანხმებული ვადის მიუხედავად.“²⁸

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა თუ გავრცელება უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ღირებულია ისინი მოვალის მიერ ვალდებულებების შესრულებისთვის. მმართველს უნდა გადაეწყვიტა, ეს ხელშეკრულებები იყო წამგებიანი თუ მომგებიანი გაკოტრების საქმის წარმოებისთვის. იმისათვის, რომ მას გაუმართლებელი ხარჯები შეემცირებინა, რათა კრედიტორთა წინაშე არსებული ვალდებულებები შესრულებინა, იყო შემთხვევები, როდესაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაც უწევდათ.

მაგალითად, როინ მიგრაიული სტუდენტებთან სალექციო კურსისას იხსენებს ერთ - ერთ საქმეს, სადაც იგი თავად წარმოადგენდა გაკოტრების მმართველს. საქმე ეხებოდა სააქციო საზოგადოება „რელას“-ს. როდესაც მან საქმის გაცნობა დაიწყო, აღმოაჩინა, რომ საწარმოს ჰყავდა 6 დირექტორი, რომელთაც ისეთივე ფუნქციები ჰქონდათ გადანაწილებული, რაც ძალიან მარტივად შეეძლო გაეკეთებინა მხოლოდ 1 დირექტორს. მისი ძალისხმევით მოხდა ამ 6 დირექტორის დაყვანა 1 დირექტორამდე და აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს იმ 12 წევრის გათავისუფლება, რომლებიც მოვალის საწარმოსთვის არანაირ სარგებელს არ წარმოადგენდნენ, მხოლოდ დამატებითი ხარჯების წყარო იყვნენ. ამ შეწყვეტილი ხელშეკრულებების ფონზე საწარმომ თვეში დაახლოებით 30 000 ლარის დანაზოგი მოახდინა, რომელიც მოიცავდა ზემოთ ხსენებული პირების სახელფასო ხარჯებს, მათი დამატებითი პრივილეგიებით. (სატელეფონო მომსახურება,

²⁸ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20), მუხლი 16, ნაწილი მე -3. ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

ავტომობილის სანვაგი და ა.შ) არსებული თანხა კი მოვალის ვალდებულებებისა და კრედიტორთა მოთხოვნების შესრულებას მოხმარდა.

მე - 17 მუხლი არეგულირებს იურიდიული ქმედების გასაჩივრების მიზნებს. იმ შემთხვევაში თუ მოვალის იურიდიული ქმედება განხორციელებული იყო კრედიტორისთვის ზარალის მიყენების მიზნით, ხოლო ამის შესახებ მესამე მხარემ იცოდა მმართველს შეუძლია სადავო გახადოს ვალაუვალი მოვალის იურიდიული ქმედება. ეს ქმედება შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოვალემ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე ერთი წლით ადრე განახორციელა სასყიდლიანი შესრულება ახლო გარემოცვაში მყოფი ადამიანის მიმართ და ვერ ამტკიცებს, რომ მისთვის ცნობილი არ იყო კრედიტორებისთვის ზიანის მიყენების განზრახვა. სარჩელის შეტანა შეიძლება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნიდან 3 წლის განმავლობაში.²⁹

როგორც ხედავთ მმართველი, საკმაოდ მრავალფუნქციური ფიგურა, ჩართული იყო გაკოტრების საქმის წარმოების მთლიან პროცესში, სწორედ ამ მიზნით მოიაზრებოდა „ გაკოტრების წარმოების ცენტრალურ ფიგურად “. თუმცა მას არ გააჩნდა გაკოტრების კრებების მონვევასა და ჩატარებაზე უფლებამოსილება, რადგან ეს სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა. მიუხედავად ამის, მმართველის უფლებამოსილება უფრო დიდი იყო ვიდრე სასამართლოსი. რადგან სასამართლო მხოლოდ საქმის წარმოების გახსნის შესახებ იღებდა განჩინებას, დანარჩენი პროცედურები კი მმართველის პრეროგატივა იყო.³⁰

²⁹ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20), მუხლი 16. ინტერნეტ მასალა, იხ. :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

³⁰ როინ მიგრაიული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარიანობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე - 3. „გაკოტრების მმართველი“, გვ. 86. გამომცემელი იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

კანონში პრობლემას წარმოადგენს მმართველის გასამრჯელო. მასში მითითებულია, რომ გასამრჯელოს ადგენს სასამართლო, თუმცა რა წესით ხდება რაოდენობის განსაზღვრა უცნობია. გერმანულ კანონმდებლობასთან შედარებით თუ განვიხილავთ, გერმანიაში გაკოტრების საქმის წამოების მმართველის ანაზღაურება მიბმულია გაკოტრების მასაზე, ანუ რაც უფრო იზრდება მასა, მით მეტია მისი გასამრჯელო. შესაბამისად, იქ მმართველი ორიენტირებულია მასის გაზრდასა და მოძიებაზე.³¹

არა მარტო გაკოტრების მმართველისთვის, არამედ ნებისმიერი დასაქმებული პირისთვის უცხო არ არის მატერიალური ინტერესი.

„ ვალაუვალობის ნებისმიერ კანონში ერთ -ერთი ძირითადი საკითხია მმართველის ანაზღაურება. აქვე უნდა განვასხვავოთ მისი დანახარჯები ანაზღაურებისას და მის მიერ საქმიანობის გასამრჯელოთი ანაზღაურების საკითხი. დანახარჯები, რომლებიც მმართველს წარმოეშობა თავისი ამოცანების განხორციელებისას, განიხილება როგორც ვალაუვალობის მასიდან უპირატესად უნდა იქნეს გადახდილი. რაც შეეხება მმართველის გასამრჯელოს, არსებობს მისი გამოთვლის სხვადასხვა კრიტერიუმი: არსებობს ანაზღაურება დახარჯული დროის მიხედვით და ანაზღაურება ისეთი სახის, რომელიც გამოიანგარიშება ვალაუვალობის მასის კვოტის მიხედვით. მმართველის ანაზღაურების ყველა სისტემას აქვს როგორც დადებითი ისევე უარყოფითი მხარეები.³²

2.2 გაკოტრების მმართველი საქართველოს 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის მიხედვით

³¹ როინ მიგრაიული სტატია : „გადახდისუნარობის წარმოებაში გაკოტრების მმართველის ინტერესების შესახებ“ წიგნში „ქართული კერძო სამართლის საკითხები“, მეორე შევსებული გამოცემა. გვ. 76-78. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2016წელი.

³² იქვე, გვ. 77.

საქართველოს გადახდისუნარიობის 2007 წლის კანონის 37 - ე მუხლი არეგულირებს მმართველის უფლება მოვალეობებს. კანონის თანახმად, გაკოტრების მმართველი აღჭურვილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს შესაბამის სუბიექტთა მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისთვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით.

სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შესახებ განჩინების გამოტანიდან სამი დღის ვადაში ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების მმართველს. თუ ამ ვადაში კრედიტორები ვერ აარჩევენ გაკოტრების მმართველს კრედიტორთა კრებაზე ან საერთოდ არ წარმოადგენენ კანდიდატურას, გაკოტრების მმართველად სასამართლოს მიერ დანიშნული იქნება აღსრულების ერვნიული ბიურო.³³

საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იურიდიული პირის მმართველობა გაკოტრების საქმის წარმოებაში. პირველ რიგში, იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირია და სახელმწიფოს ინტერესების დაცვით ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. რაც შეეხება გაკოტრების საქმის წარმოებას, ვფიქრობ, რომ ეს უფრო კერძო სამართლებრივი ურთიერთობაა, სადაც საკითხი წყდება კრედიტორების იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომელიც მათ გააჩნიათ ერთი საერთო მოვალის მიმართ. რა თქმა უნდა ამ კერძო პირებს შორის ურთიერთობის დანყოფილება სახელმწიფოს საქმიანობაში არ შედის. „სახელმწიფო დაინტერესება“ შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე კონკრეტულ საჯარო მოხელეს, რაიმე კონკრეტული მოთხოვნა გააჩნია ამ მოვალის საწარმოსთან დაკავშირებით. ეს კი დამატებით პრობლემას წარმოადგენს. რადგან ხანდახან არის შემთხვევები როდესაც გაკოტრების მმართველს უწევს

³³ გადახდისუნარიობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, 37 - ე მუხლი, მე-2 ნაწილი. ინტერნეტ მასალა იხ . . :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

სახელმწიფოს არამართლზომიერ ინტერესებთან შეჯახება. შეუძლებლად მიმაჩნია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი რაიმე ფორმით შეენიანააღმდეგოს სახელმწიფოს, თუნდაც ამ უკანასკნელის მოთხოვნა იყოს გაუმართლებელი და ენინააღმდეგებოდეს კანონს.

ამავე მუხლის მე - 3 ნაწილის თანახმად, გაკოტრების მმართველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. იგი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი კეთილსინდისიერი, იურიდიული პირის შემთხვევაში - საქმიანი რეპუტაციის მქონდე პირი. თუმცა, არ უნდა ახორციელებდეს იმავე საქმიანობას როგორსაც ვალაუვალი მოვალე ახორციელებს.³⁴

კანონის ამ ვერსიაში, გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის ფარგლები უნდა განისაზღვროს მმართველსა და კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულებით. ეს ხელშეკრულება ადგენს აგრეთვე უნდა მოიძიოს თუ არა მმართველმა მოვალის ქონება. შესაძლებელია მოხდეს პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც საბანკო გარანტიით ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევით.³⁵

მმართველის პასუხისმგებლობაზე საუბარია წინა კანონმდებლობაშიც, თუმცა ცვლილება რომელიც მან განიცადა არის ის, რომ აქამდე მითითება არ ყოფილა პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის საშუალებებზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, მმართველი ახორციელებს საჯარო ფუნქციებს და მის დანიშვნაში მონაწილეობს სასამართლო, იგი მაინც არ ითვლება საჯარო მოხელედ.

³⁴ გადახდისუნარიობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, მუხლი 37, ნაწილი 3. ინტერნეტ მასალა იხ . . :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

³⁵ იქვე. მუხლი 37, ნაწილი 4.

„გაკოტრების მმართველის თანამდებობა კერძო თანამდებობაა, რომელიც დატვირთულია საჯარო ფუნქციებით. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო არ აგებს პასუხს გაკოტრების მმართველის ბრალეული მოქმედებებისთვის.“³⁶

მართალია ახალი კანონით გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობა მთლიანად მმართველსა და კრედიტორს შორის დადებულ ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული, თუმცა ამაზე ბევრად მაღალ სტანდარტს წარმოადგენს პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა. რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საბანკო გარანტია ან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმები.³⁷

ერთი შეხედვით, გარდა იმისა, რომ ახალმა კანონმა ყველა მნიშვნელოვანი ბერკეტი ჩამოართვა მმართველს გაკოტრების საქმის წარმოებისთვის, ეს არ იკმარა და პასუხისმგებლობის, შეიძლება ითქვას, ერთ - ერთი უმაღლესი სტანდარტი დაუნესა.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ეს პასუხისმგებლობა გარკვეულწილად შიშის ფაქტორსაც ქმნიდეს, იმისათვის რომ მმართველმა თავის ვალდებულებას არ გადაამეტოს და რაიმე პირადი ინტერესი არ დააყენოს წინ, მაგრამ მე ვთვლი, რომ ამისათვის სასამართლო კონტროლი სრულიად საკმარისი პირობაა.

თუ გაკოტრების მმართველად დაინიშნება აღსრულების ეროვნული ბიურო, გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის

³⁶ როინ მიგრიული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, მე - 3 გადამუშავებული გამოცემა, თავი მე - 3, გვერდი 96. (დამხმარე სახელმძღვანელო) გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

³⁷ როინ მიგრიული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, მე - 3 გადამუშავებული გამოცემა, თავი მე - 3, გვ. 97. (დამხმარე სახელმძღვანელო) გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

ოდენობა განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით და ანაზღაურდება სამეურვეო ქონებიდან.³⁸

იმ შემთხვევისთვის, თუ გაკოტრების მმართველი არაჯეროვნად შეასრულებს საქმიანობას, კრედიტორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სასამართლო გაკოტრების მმართველად ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. რასაც განათავსებს ელექტრონულ სისტემაში. ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს კანონით დადგენილი წესით.³⁹

2.3 შედარება საქართველოს 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების კანონსა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონს შორის

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების კანონით გაკოტრების მმართველი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს და მასზე დამოკიდებული მთლიანად ამ პროცესის მსვლელობა, თუმცა ეს მდგომარეობა კატეგორიულად იცვლება საქართველოს 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონში, მისი უფლებები მინიმუმამდე არის დაყვანილი. გაკოტრების მმართველს აღარ აქვს ხელშეკრულების გადასინჯვის ან შეცვლის უფლება, აგრეთვე მოვალის იურიდიული მოქმედებების გასაჩივრების უფლება. იგი კრედიტორთან აფორმებს ხელშეკრულებას და მასზე არის დამოკიდებული. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მკაფიოდ საუბრობს როინ მიგირაული (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ადვოკატი) თავი დამხმარე სახელმძღვანელოში „

³⁸ საქართველოს 2007 წლის გადახდისუუნარობის შესახებ კანონი, მუხლი 37 -ე, ნაწილი მე -5. იხ.: ინტერნეტ მასალა : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

³⁹ იქვე. მუხლი 37-ე, ნაწილი მე - 6.

შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში “. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.⁴⁰

გაკოტრების მმართველს ნიშნავდა გაკოტრების სასამართლო კრედიტორთა პირველ კრებამდე, თუმცა, კრედიტორებს სხვა მმართველის არჩევის ან იგივე მმართველის დატოვების უფლება გააჩნდათ, მაგრამ საბოლოოდ იგი სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა, რადგან სასამართლო არ იყო შეზღუდული კრედიტორების გადაწყვეტილებებით. ახალი კანონებით მმართველს ირჩევენ კრედიტორები, გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანიდან 3 დღის ვადაში. მის არჩევაში სასამართლო ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორები ვერ აირჩევენ მმართველს ხმათა უმრავლესობით, ან საერთოდ არ წამოაყენებენ მის კანდიდატურას. ასეთ დროს სასამართლო გაკოტრების საქმის წარმოების მმართველად ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.⁴¹

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონპროექტით, რომელიც 2019 წელს უნდა შევიდეს ძალაში, გაკოტრების საქმის წარმოებაში შემოდის ახალი პირი - გადახდისუნარობის პრაქტიკოსი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას გაკოტრების მმართველზე, რეაბილიტაციის მმართველზე, რეაბილიტაციაზე და სხვა... ახალი კანონით, რომელიც ჯერ ძალაში არ არის შესული, იცვლება გაკოტრების მმართველის არჩევის წესი.

⁴⁰ როინ მიგრაიული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, თავი მე - 3, გვ. 82 – 83 (დამხმარე სახელმძღვანელო) გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

⁴¹ საქართველოს 2007 წლის კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ. 37 - ე მუხლი, ნაწილი მე - 2. ინტერნეტ მასალა, იხ . :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

„ რეაბილიტაციის / გაკოტრების მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი შეირჩევა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით “ .⁴²

„ რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის, რეაბილიტაციის ზედამხედველის ავტომატურად შერჩევის ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით შერჩევა, რაც გულისხმობს საქმეების შემოსვლის რიგითობისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში მმართველების ანბანური რიგითობის მიხედვით შერჩევას.“⁴³

გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონში მთელი რიგი კრიტერიუმები არსებობდა გაკოტრების მმართველად დასანიშნ პიროვნებასთან დაკავშირებით. პირველი მოთხოვნა იყო გამოცდილება, როგორც სამართლებრივ აგრეთვე ეკონომიკურ სფეროში. რადგან პროცესის მსვლელობისას მას უწევდა ამ საკითხების გადაწყვეტა. თუ წარმოებაში ჭარბობდა სამართლებრივი საკითხები გაკოტრების მმართველად ინიშნებოდნენ ადვოკატები, თუკი ეკონომიკური საკითხები იყო გადასაწყვეტი მაშინ რევიზორები, აუდიტორები ან ეკონომიკური განათლების მქონე ადამიანები. მმართველი შესაძლოა ყოფილიყო მენეჯერიც, თუ საკითხი მოვალის საწარმოს მართვას ეხებოდა.⁴⁴

2007 წლის კანონით გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. მმართველად არ

⁴² გადახდისუუნარობის კანონპროექტი : საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ. მუხლი მე - 10, ნაწილი მე - 4. 31.05.19 წელი.

⁴³ იქვე, მუხლი მე - 10, ნაწილი მე - 6.

⁴⁴ როინ მიგრიაული “ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“ (მე-3 გადამუშავებული გამოცემა), თავი მე - 3, გვ. 90 -ე. 2017 წელი. გამომცემლობა „ ბონა კაუზა „

შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.⁴⁵ აღნიშნულზე გაკოტრების კანონიც მიუთითებდა. მმართველი უნდა ყოფილიყო კრედიტორისა და მოვალისაგან დამოუკიდებელი პირი, მათთან არ უნდა ჰქონოდა არც სამსახურეობრივი, არც ფინანსური და არც ნათესაური ურთიერთობა.⁴⁶

გარდა ამისა 1996 წლის გაკოტრების კანონის მიხედვით იგი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სასამართლოს არ დაეკარგა კონტროლი მმართველის პიროვნების დანიშვნაზე, ვინაიდან იურიდიული პირი წარმომადგენლობას ახორციელებს დირექტორი, დირექტორატის და ა.შ მეშვეობით, მათი არჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება კი იურიდიული პირის პარტნიორების კომპეტენციაში შედის. ამასთან, გაკოტრების პროცესში მნიშვნელოვანია მმართველის პროფესიული საქმიანობა და მისი გონებრივი შესაძლებლობა, ხოლო იურიდიული პირი წარმოადგენს აბსტრაქციას.⁴⁷

ფიზიკური პირის გაკოტრების მმართველად დანიშვნის ერთ - ერთი წინა პირობა, რომელიც საქართველო სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარეობს არის მისი ქმედუნარიანობა, რადგან გაკოტრების მმართველი, რომელიც სხვისი ქონების მართვას და განკარგვას განახორციელებს თავისი სტატუსით ემსგავსება ქმედუნარო პირისთვის დანიშნულ მეურვეს, რომელიც თავის მხრივ, აუცილებელია, რომ იყოს ქმედუნარიანი.⁴⁸

⁴⁵ გადახდისუნარობის საქმის წარმოები შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, მუხლი 37 - ე, ნაწილი მე - 3.

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

⁴⁶ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 N 19 – 20), მუხლი 16. ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

⁴⁷ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო), მე -3 ტავი, გვ. 91. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

⁴⁸ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე -3, გვ 92. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

„ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე“.⁴⁹

გაკოტრების კანონით, მმართველის საქმიანობა ვრცელდებოდა მთელს პროცესზე, მისი ამოცანებიც ესადაგებოდა იმ მიზანს რასაც კრედიტორთა დაკმაყოფილება და ლიკვიდაცია ჰქვია. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების საფუძველზე იგი იძენდა უფლებამოსილებას, რომ განეხორციელებინა ისეთი სალიკვიდაციო ამოცანები, როგორებიც არის მასის მოძიება და მისი სავალდებულო მასამდე დაყვანა, კრედიტორების და მათი მოთხოვნების მოძიება, მოვალის დებიტორების (მესამე მოვალეების) მოძიება, მათი მოთხოვნების გამორკვევა, მასის განაწილება კრედიტორებზე და მათი მოთხოვნების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება.⁵⁰

გაკოტრების მმართველის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით არსებობს სამი თეორია:

- ✓ მოვალის წარმომადგენლის თეორია , რომელიც გაკოტრების მმართველს მოვალის ინტერესების გამომხატველად წარმოაჩენს. ამ თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ მთელი წარმოება მოვალის გარშემო არის აწყობილი. რადგან, სასამართლოს განსჯადობას განსაზღვრავს მისი საცხოვრებელი ადგილი. ვალაუვალი მოვალის ქონება ექვემდებარება ყადაღას. მისი ქონება ნაწილდება კრედიტორებზე. სამომრიგებლო ღონისძიებები მიმართულია მოვალისა და მისი ქონების გადარჩენისკენ.⁵¹

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი მე -12. ინტერნეტ მასალა. იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

⁵⁰ როინ მივრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე -3, გვ 92. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

⁵¹ როინ მივრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე -3, გვ. 84. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

- ✓ კრედიტორთა წარმომადგენლის თეორია - მისი მიმდევრები გაკოტრების მმართველს განიხილავენ ყველა კრედიტორის წარმომადგენლად. ისინი თვლიან რომ გაკოტრების მასის მართვა და განკარგვა კრედიტორების ინტერესების დასაკმაყოფილებლად ხორციელდება.⁵²
- ✓ თანამდებობრივი უფლებამოსილების თეორია - „გაკოტრების მმართველს სამართალზღვრუნვის ერთ - ერთ ორგანოდ მიიჩნევენ, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებს და ასრულებს კანონით დაკისრებულ ამოცანებს“. (როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში“).
- ✓ ორგანული თეორია - რომელიც განიხილავს გაკოტრების მმართველს როგორც გაკოტრების მასის ორგანოს.⁵³

აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარობის კანონპროექტში, რომელიც ძალაში 2019

წელს უნდა შევიდეს ცვლილება გვაქვს გაკოტრების არსში. 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 1-ლ მუხლში არის შემდეგი მითითება :

„ამ კანონის მიზანია მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა და მოვალის საწარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება“.⁵⁴

საქართველოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007 წლის კანონის 1-ლ მუხლში არის შემდეგი მითითება : „ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის

⁵² იქვე, თავი მე - 3, გვ. 85.

⁵³ იქვე, თავი მე - 3, გვ. 86 – 87.

⁵⁴ საქართველოს 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონი, მუხლი 1. ინტერნეტ მასალა იხ. :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.⁵⁵

პირველ შემთხვევაში კანონი უპირველესად აქცენტს აკეთებდა მოვალეზე, ჯერ იყო მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა, შემდგომ კრედიტორთა დაკმაყოფილება. ხოლო მეორე შემთხვევაში უკვე მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერ დაცვაზეა საუბარი. ხოლო ახალ კანონპროექტში პირველ ადგილზე ნახსენებია კრედიტორი : „ამ კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება, შესაძლებლობის შემთხვევაში რეაბილიტაციის მიღწევის ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში გადახდისუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით.“⁵⁶

მასის სამართავად გაკოტრების საქმის მმართველი აღწერდა მასაში შემავალ საგნებს და მფლობელობაში იღებდა მათ. მას უნდა გამოეველინა უცხო ნივთები და დაებრუნებინა უფლებამოსილი პირებისათვის. მასის მართვაში მოიაზრებოდა აგრეთვე არსებული ხელშეკრულებების შესრულება ან უარის თქმა მათზე. მას შეეძლო აგრეთვე მოვალის ქმედებების შეცვლა, როგორც წესი აღნიშნული ქმედება გაკოტრების მასის გაზრდას ემსახურებოდა. მასის მართვა გულისხმობს აგრეთვე მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას, აგრეთვე გაკოტრების წარმოების გახსნით შეწყვეტილი პროცესების გაგრძელება ან უარის თქმა მათზე.⁵⁷

მნიშვნელოვანია აგრეთვე გაკოტრების მმართველის დამოუკიდებლობის პრინციპი. მმართველი, დანიშნის დღიდან შეისწავლის მოვალის ქონებას

⁵⁵ საქართველოს 2007 წლის კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 1. ინტერნეტ მასალა. იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

⁵⁶ საქართველოს კანონპროექტი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 1. 2019 წელი.

⁵⁷ როინ მიგრაიული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე -3, გვ 93. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

დეტალურად და ცდილობს საკითხის წარმართვა ისე, რომ იმოქმედოს მასის გაზრდაზე და დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები. მისი ინტერესი მთლიანად მიმართულია საქმის ეფექტურად წარმოებისკენ. თუმცა, დამოუკიდებლობა არ გულისხმობს, რომ მასზე ზედამხედველობას არავინ ახორციელებს.

„მასის მართვისას გაკოტრების მმართველი უფლებამოსილი იყო

მოეხდინა საგნების რეალიზაცია და ფულად ექცია ისინი. ამასთანავე წესსა და პირობებს დამოუკიდებლად აწესებდა. თავისუფლად განსაზღვრავდა რეალიზაციის სახეს, რაც ყოველთვის მაღალ ფასზე იყო ორიენტირებული. რეალიზაციის ეფექტურობა მმართველის მატერიალური ინტერესით იყო დაცული, რაც დაკავშირებული იყო გასამრჯელოს სიდიდიდესთან. გარდა ამისა მას გააჩნდა მატერიალური პასუხისმგებლობაც, ხორციელდებოდა სასამართლო ზედამხედველობა. რეალიზაციის ეფექტურობა აგრეთვე დაცული იყო კრედიტორთა კომიტეტის თანხმობის აუცილებლობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გაკოტრების მმართველი იყო დამოუკიდებელი მასის მართვასთან დაკავშირებით და სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო მის საქმიანობაში“.⁵⁸

მმართველის ეს ფუნქცია - მასის მოძიება და მისი სავალდებულო მასამდე დაყვანა, ერთ - ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული პროცესია. იგი მოითხოვს არა მარტო კანონის ცოდნას, არამედ მენეჯერულ, ეკონომიკურ თუ საბუღალტრო უნარ - ჩვევებს. ვფიქრობ, რთული იქნება ისეთი იურიდიული პირის მოძიება, რომელიც ამ უნარ - ჩვევებით იქნება აღჭურვილი, მაშინ როდესაც, მმართველად იურიდიული პირის არჩევის შემთხვევაში კანონი მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის ქონას მოითხოვს.

⁵⁸ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო), თავი მე -3, გვ 93 – 94. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

ახალი 2007 წლის კანონით მისი ფუნქციები მინიმუმამდეა დაყვანილი. მას არ გააჩნია ერთ-ერთი უმთავრესი გაკოტრების მასის, ანუ მოვალის ქონების მოძიების ფუნქცია, რადგან კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი ვალდებული არ არის განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა. გარკვეულწილად შეიძლება შეუნარჩუნდეს მას ეს ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ კრედიტორები ხელშეკრულებით მოსთხოვენ მასე გაკოტრების. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მმართველის პასუხისმგებლობისა და ანაზღაურებიდან გამომდინარე მხარეები სრულებით არ შეთანხმდნენ მსგავს პირობაზე. ეს კი მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს მასის გაზრდას.⁵⁹

რაც ძალიან დიდ პრობლემას უქმნის გაკოტრების საქმის წარმოების ეფექტურ მსვლელობას, რადგან მასის გაზრდა მხოლოდ მმართველის ინტერესს არ წარმოადგენს, იგი პირველ რიგში კრედიტორების ინტერესია. რაც უფრო დიდია გაკოტრების სავალდებულო მასა, მით უფრო სრულყოფილად ხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მმართველი ჩამოცილებულია აგრეთვე მოვალის ქონების რეალიზაციის პროცესს. ეს ფუნქცია მთლიანად აღსრულების ეროვნულ ბიუროს აქვს შეთავსებული, იგი მხოლოდ შუამავლის ფუნქციას ასრულებს. მმართველს ევალება, რომ მიმართოს თხოვნით აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომ მან მოვალეს ქონება გაუყიდოს.. გამომდინარე იქიდან, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო სულ სამ აუქციონს ატარებს და შეუძლია ეს პროცესი დაახლოებით 4 თვეში დაასრულოს, მმართველი ვერ ახერხებს მოვალის ქონების სრულყოფილად მართვას და მოვალის წარმომადგენლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მას მხოლოდ რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებზე მიუწვდება ხელი, რაც მან კრედიტორებზე უნდა გადაანაწილოს. სწორედ ეს არის ის ერთადერთი ფუნქცია რაც მას კანონმა მიანიჭა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ პერიოდში იგი ვერც

⁵⁹ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო) თავი მე -3, გვ. 95. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

ხელშეკრულების და ვერც რაიმე დაწყებული პროცესის დასრულებას ვერ მოასწრებს შეგვიძლია მას ახალი კანონმდებლობით გაკოტრების ფორმალური მმართველი ვუწოდოთ.⁶⁰

საკმაოდ საინტერესოდ არის ფორმირებული მმართველის ფუნქციების და სტატუსის შედარება როინ მიგრიაულის სტატიაში „გაკოტრების მმართველის სამართლებრივი სტატუსი 1996 წლის გაკოტრების კანონსა და 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე“. სადაც აღნიშნულია, რომ :

„ევროპის ქვეყნების ინზოლვენცის (ვალაუვალობის) სამართლის მიხედვით, გაკოტრების მმართველი იმდენად ძლიერი და დამოუკიდებელი პერსონაა, რომ მას გაკოტრების წარმოების „ცენტრალურ ფიგურად“ მოიხსენიებენ. ასეთი ფიგურა იყო ის 1996 წლის ქართული გაკოტრების სამართლის მიხედვითც.. გაკოტრების წარმოება ვალაუვალობის სამართლის მთლიან წარმოებაში ძირითად წარმოებად განიხილებოდა, რადგან ამ დროს ხდებოდა მოვალის ქონების ფორმირება, გაკოტრების მასის დაცვა არაკეთილსინდისიერი ხელყოფისაგან, მისი რეალიზაცია, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და სხვა..“⁶¹

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 2007 წელს ქართულმა სამართალმა გადახდისუნარობის ძირითადი სიმძიმე სამეურვეო რეჟიმზე გადაიტანა, გაკოტრების წარმოება კი ფორმალურ წარმოებად გადააქცია. ვალაუვალობის წარმოებაში არსებული კომპეტენციები სააღსრულებლო ბიუროზე გადაანაწილა, მისი აღმასრულებლები კი გაკოტრების საქმის წარმოებისას ხან ეურვეებად გვევლინებიან, ხანაც გაკოტრების მმართველებად. თუკი კანონმდებელმა ასეთი ტენდენციით გააგრძელა ვალაუვალობის სამართლის საჯარო ელემენტებით

⁶⁰ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო)თავი მე -3, გვ 95 – 96. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“ თბილისი, 2017 წელი.

⁶¹ როინ მიგრიაული „ქართული კერძო სამართლის საკითხები“ (მეორე შევსებული გამოცემა) „გაკოტრების მმართველის სამართლებრივი სტატუსი 1996 წლის გაკოტრების კანონსა და 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე“, გვ. 70 – 71.

დატვირთვა, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც რეაბილიტაციის მმართველებადაც სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლები მოგვევლინებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ასეთი ჩარევა ვალაუვალობის სამართლის საქმის წარმოებებში მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუკი ვალაუვალობის მასა არ არის საკმარისი ვალაუვალობის ხარჯების დასაფარად, ხოლო წარმოების განხორციელება და მისი დასრულება აუცილებელია ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე.⁶²

3.3 გაკოტრების საქმის წარმოების მმართველის პასუხისმგებლობა

მიუხედავად იმისა, რომ გაკოტრების საქმის წარმოების მმართველის დანიშვნაში სახელმწიფო მონაწილეობს სასამართლოს სახით, იგი მაინც არ წამოადგენს სახელმწიფო მოხელეს, რადგან არ აღასრულებს საჯარო სამსახურებრივ მოვალეობას. მისი თანამდებობა კერძო თანამდებობაა და დატვირთულია საჯარო ფუნქციებით. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო არ აგებს პასუხს მისი ბრალეული ქმედებებისთვის.

გაკოტრების 1996 წლის კანონი პირდაპირ მიუთითებდა მმართველის პასუხისმგებლობაზე. იგი პასუხს აგებდა ინდივიდუალურად იმ ზარალისთვის რასაც იგი მიაყენებდა წარმოების მონაწილეებს თავისი მოვალეობების შეუსრულებლობით.

გადახდისუუნარობის 2007 წლის კანონით არ არის დარეგულირებული მმართველის პასუხისმგებლობის საკითხი. იგი მთლიანად კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული. თუმცა კანონი აწესებს პასუხისმგებლობის უფრო მაღალ სტანდარტს და იმის შესაძლებლობას უშვებს,

⁶² როინ მიგრიაული „გაკოტრების მმართველის სამართლებრივი სტატუსი 1996 წლის გაკოტრების კანონისა და 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე“. გვ. 178. სამართლის ჟურნალი N1, 2013.

ინტერნეტ მასალა იხ. :

http://www.library.court.ge/upload/Samar%20jurn%202013%201.pdf.pdf?fbclid=IwAR3d9YWeC56RXg7_xs18IEzRGRQztwiCAgMd54oVeZom3lkp_JxQo1qfmw

რომ მისი პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნას საბანკო გარანტია ან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმები.⁶³

(გადახდისუუნარობის კანონის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი) .

„ გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.“⁶⁴

ამ მუხლთან მიმართებაში დაუშვებელია, რომ რეგულაციები მხოლოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდეს, ან / და მმართველისა და კრედიტორის შეთანხმებით დარეგულირდეს. ბუნებრივია, რომ კრედიტორებიც მმართველს განუსაზღვრავენ ქონების მოძიების იდეას, მაგრამ აქ სხვა სახის პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი, მმართველის ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ამ ხელშეკრულების მხარეები შეიძლება სრულიადაც არ შეთანხმდნენ ქონების მოძიებაზე, რაც უპირობოდ შეუშლის ხელს აღნიშნული საქმის წარმოებას.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალი 2019 წლის კანონპროექტი პირდაპირ ავალდებულებს მმართველს მოვალის ქონების მოძიებასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ითქვას, რომ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ახალი კანონპროექტის 102 - ე მუხლში მითითებულია მმართველის უფლებები და მოვალეობები, რომ „ გაკოტრების მმართველი ვალდებულია მოიძიოს ქონება და დააბუსტოს გადახდისუუნარობის მასა, განახორციელოს გადახდისუუნარობის მასაში შემავალი ქონების რეალიზაცია და გაანაწილოს გადახდისუუნარობის მასა კრედიტორებს

⁶³ როინ მიგრიაული „შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში, (დამხმარე სახელმძღვანელო), თავი მე - 3, გვ 97. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა თბილისი, 2017 წელი.

⁶⁴ გადახდისუუნარობის საქმის წარმოები შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, მუხლი 37 - ე, ნაწილი მე - 4.

შორის. გაკოტრების მმართველმა თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს შეძლებისდაგვარად სწრაფად და ეფექტიანად, მოვალის კრედიტორების ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, გაკოტრების მმართველმა თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ გაუმართლებლად და აუცილებლობის გარეშე არ გამოიწვიოს მოვალის კრედიტორების ერთობლიობის ინტერესის დაზიანება.⁶⁵

⁶⁵ კანონპროექტი გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ, 102 - ე მუხლი. 2019 წელი.

თავი 3

გაკოტრების მმართველი უცხო ქვეყნების სამართალში

3.1 გაკოტრების მმართველის რეგულირება ამერიკის შეერთებული შტატებში და შედარება ქართულ სამართალთან

გადახდისუნარობის საქმის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაკოტრების კოდექსით რეგულირდება.

მმართველი დიდ როლს ასრულებს გადახდისუნარობის საქმის წარმოების დროს, რასაც განსაზღვრავს ე.წ. მე-11 თავი. ის ზედამხედველობს სწორედ ამ პროცესს. ის აკონტროლებს დებიტორის მოქმედებებს ქონებასთან მიმართებით ბიზნესის წარმოების პროცესში, აკონტროლებს მოხსენებებისა და გადასახადების წარდგენის პროცესს. ის ასევე აკონტროლებს განცხადებებს კომპენსაციისა და ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოში წარდგენილ გეგმებს, კრედიტორების კომისიას. ის ხელმძღვანელობს კრედიტორების კრებას, რომელსაც ხშირად მოიხსენებენ როგორც მე-11 თავის „სექცია 341 კრება“.⁶⁶

341-ე სექციის ქვეშ მმართველი და კრედიტორები ხშირად აწყობენ დებიტორის დაკითხვას დებიტორის ქმედებებთან, ქონებასთან და ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

თუ ამ მუხლს შევადარებთ ჩვენს კანონმდებლობას, იგი უფრო ახლოს არის 1996 წლის გაკოტრების საქმის წარმოები შესახებ საქართველოს კანონთან,

⁶⁶ United States Bankruptcy Code, 2019 edition. Chapter 3. Section 341. ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

როდესაც მმართველი ისეთი ფუნქციებით იყო დატვირთული, როგორც არის მოვალის ქონების მოძიება, საწარმოს მართვა. როგორც ამერიკულ, ასევე ქართულ სამართალში მმართველი ახორციელებს მოვალისგან ინფორმაციის მოძიებას, ხოლო მოვალე ვალდებულია ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია გადასცეს.⁶⁷

მმართველი ასევე ითხოვს დებიტორისგან (მოვალისგან) იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც შეეხება დებიტორის ქონებას, ყოველთვის შემოსავალსა და გასავალს, საოპერაციო ხარჯებს, ახალი საბანკო ანგარიშების გახსნას თანამშრომელთა ანაზრაურებისა და გადასადახების შესახებ.

დებიტორი უხდის კვარტალში ერთხელ ანაზრაურებას მმართველს მანამ სანამ საქმე არ დასრულდება - 325 დოლარიდან 30 000 დოლარამდე მერყეობს ეს ანაზრაურება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობის ვალდებულებას შეასრულებს დებიტორი იმ კვარტალის განმავლობაში.

განსხვავებულია ქართული სამართლისგან, სადაც მმართველის ანაზრაურება 1996 წლიდან ჯერ სასამართლოს მიერ რეგულირდებოდა, ხოლო ახლა 2007 წლის კანონმდებლობით კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებით რეგულირდება. თუმცა გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინება ხდება მისთვის ანაზრაურების მინიჭების დროს.

თუ დებიტორი დაარღვევს თავის ვალდებულებას, რომ წარადგინოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია, მმართველს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მე-11 თავიდან სხვა თავზე მოხდეს საქმის გადაკვალიფიციცირება.

აშშ-ში ე.წ. მმართველის პროგრამა (U.S. TRUSTEE PROGRAM) სამართლის დეპარტამენტის მიერ კონტორლდება. გამოსაყენებელი სამართალი არის ფედერალური კანონი.⁶⁸

⁶⁷ საქართველოს 1996 წლის კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ, მუხლი მე - 15.

⁶⁸ United States Bankruptcy Code, 2019 edition. Chapter 3. ინტერნეტ მასალა, იხ. :

The United States Attorney General ნიშნავს თითო მმართველს (რომლებიც არიან სამართლის დეპარტამენტის ოფიცრები) 21 გეოგრაფიული რეგიონისთვის 5 წლის ვადით არჩეულნი. სწორედ მის წინაშე არიან ისინი პასუხისმგებლები და მასვე შეუძლია მათი მოხსნა. ამ 21 გეოგრაფიულ რეგიონში თითო მმართველი მართავს თითო ოფისს თითო სამართლებრივ რეგიონში, გარდა ალაბამისა და ჩრდილოეთ კაროლინისა, რომლებიც არაა აშშ-ს მმართველის პროგრამით მართული. იქ არის გაკოტრების ადმინისტრატორი, რომელსაც იგივე ფუნქციები აქვს რაც მმართველს.

მმართველებს არ აქვს სამართლებრივი დევნის უფლება, თუმცა მათ მოეთხოვებათ აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციას მიაწოდოს ინფორმაცია გაკოტრების სამართლის პოტენციური დარღვევის შესახებ.

არსებობენ შუა მმართველები. ისინი ინიშნებიან მოულოდნელად, როდესაც გაკოტრების შესახებ განცხადება მიიღება და ხდებიან მუდმივი მმართველები ამ საქმისთვის მას შემდეგ რაც კრედიტორების პირველი კრება გაიმართება.⁶⁹

ჩვენს შემთხვევაშიც არის როგორც მსგავსება ასევე განსხვავება. აშშ - ს მსგავსად, მმართველი შეიძლება აირჩეს კრედიტორთა კრებაზე, თუმცა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ კრედიტორთა კრებაზე ვერ მოხდა მმართველის არჩევა, მაშინ სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს მმართველად.⁷⁰

არსებობენ ე.წ. Standing Trustees, რომლებიც მე-13 თავით განსაზღვრულ 1საქმეებს ხელმძღვანელობენ.

<https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

⁶⁹ United States Bankruptcy Code, 2019 edition. Section 702. ინტერნეტ მასალა, იხ. :

<https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

⁷⁰ გადახდისუნარიობის საქმის წარმოები შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, მუხლი 37.

ინტერნეტ მასალა, იხ. :

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

მე-7 თავი არეგულირებს ლიკვიდაციის საკითხს. ლიკვიდაციას მმართველი - აგროვებს დებიტორის ქონებას, ყიდის ამ აქტივებს და აგროვებს თანხებს. უხდის კრედიტორებს ამ მოძიებულ თანხებს.

მე-13 თავი ეხება რეორგანიზაციას. რეორგანიზაციის დროს მმართველი დებიტორის თვიურ შემოსავალს იღებს და უხდის კრედიტორებს. დებიტორის მხარეს მოქმედებს და იმის გარანტიაა, რომ ორივეს ინტერესები დაბალანსებული და გათვალისწინებული იქნება კანონის შესაბამისად. ის არის მომლაპარაკებელი მათ შორის.

მმართველის ანალოგიური უფლებამოსილებები აქვს ასევე 1990 წლიდან CRO – Chief restructuring officer-ს გადახდისუუარობის საქმის წარმოების დაწყებამდე. ეს არის კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც კავშირი აქვს კრედიტორებთან და ორივეს აწყობს ვინაიდან მომავალში მოლაპარაკებების დროს მათ მეტი უფლება ექნებათ, ვიდრე ეს გადახდისუუარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ.

ორი მმართველი არსებობს:

1. გაკოტრების მმართველი, რომელიც უნდა იყოს ადგილობრივი გაკოტრების ადვოკატი ან არა იურისტი რომელიც იცნობს მე-7 და მე-13 თავებს და ასევე ადგილობრივ სასამართლოსა და პროცედურებს.

მას შემდეგ რაც საქმის წარმოებაზე განცხადება გაკეთდება, სასამართლოსგან კომპანია მიიღებს შეტყობინებას სადაც მითითებული იქნება გაკოტრების მმართველი და საკონტაქტო მონაცემები.⁷¹

⁷¹ United States Bankruptcy Code, 2019 edition. Section 702. ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

გაკორტრების მმართველი აკონტოლებს იურიდიულად კომპანიის ქონებასა და ვალებს მას შემდეგ რაც საქმის წარმოება იწყება. თუ მის გარეშე განახორციელებ ტრანზაქციას, შესაძლოა მისი გაუქმება მოგთხოვონ.

მისი უშუალო ვალდებულებებია:

- დარწმუნდეს, რომ ქონება იყიდება კრედიტორთა ვალდებულებების შესრულების მიზნით.
- დოკუმენტები სწორად არის წარდგენილი.
- კრედიტორების შეხვედრას უხელმძღვანელოს.
- სასამართლოში საქმეს უხელმძღვანელოს.

გააჩნია მე-7 თავის ქვეშ იწყება საქმის წარმოება თუ მე-13.

ვალდებულებები ამ მუხლების ქვეშ:

U.S. Trustee:

მათ ვგალებათ თვალყური ადევნონ რამდენადაა დაცული გაკორტრების სამართლის წესები საქმის მიმდინარეობის დროს. ისინი საქმეში მაშინ ერთვებიან, როდესაც მე-7 თავის ქვეშ შეტანილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შედეგად ვლინდება რომ:

- კომპანიის იმუამინდელი თვიური შემოსავალი არის მათ საშუალო შემოსავალზე მეტი.
- აქვთ იმდენი შემოსავალი, რომ მე-13 თავის ქვეშ აწარმოონ საქმე.
- დანაშაულებრივი ნიშნები ვლინდება
- შემთხვევითი აუდიტორული შემოწმების ქვეშ მოხვდნენ, რაც გულისხმობს 250 ასეთი სამიდან ერთი უნდა შემოწმდეს ხოლმე.

მსგავსად ამისა, ქართული სამართლის მიხედვით, მმართველი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მოვალის ქმედება არ არის მიმართული

კრედიტორისთვის ზიანის მიყენებისკენ და იგი მიმართულია მოვალის ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებისკენ.

მმართველის არჩევა ხდება კრედიტორთ ხმების უმრავლესობით, იმ კრედიტორების რომლებიც მოთხოვნათა 20 პროცენტს მაინც ფლობენ. თუ ამ ფორმით ვერ მოხდა მმართველის არჩევა, მაშინ შუალედური მმართველი ასრულებს მის ფუნქციას.⁷²

გადახდისუნარიობის მმართველის დანიშვნა შეუძლია მხოლოდ იმ კრედიტორს/კრედიტორებს, რომელსაც:

- აქვს უდავო, ფიქსირებული, არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;
- არ აქვს MAC;
- არ არის ინსაიდერი;
- ფლობს მოთხოვნათა 20% მაინც;

გაკოტრების მმართველი ვალდებულია:

- შეაგროვოს და ფულად აქციოს იმ ორგანიზაციის ქონება რომელსაც ემსახურება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;
- იყოს ანგარიშვალდებული ყველა მიღებული ქონებისათვის;
- გამოიკვლიოს მოვალის ფინანსური მდგომარეობა
- მოთხოვნისამებრ, დაადგინოს მოთხოვნათა/საჩივართა საფუძველი;
- საჭიროების შემთხვევაში უარი განაცხადოს მოვალის განთავისუფლებაზე;

გაკოტრების მმართველი :

- არის საწარმოს წარმომადგენელი

⁷² United States Bankruptcy Code, 2019 edition. Section 702. ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

- უფლება აქვს აღძრას სარჩელი
- შესაძლებელია მის წინააღმდეგ სარჩელის წაყენება
- (გაკოტრების კოდექსი, მე-3 თავი, მე-2 ქვეთავი, ნაწილი 323)

(Section 323 – Role and capacity of trustee

(a) The trustee in a case under this title is the representative of the estate.

(b) The trustee in a case under this title has capacity to sue and be sued.)⁷³

გაკოტრების მმართველის პასუხისმგებლობა :

არც ბონდი და არც მმართველი პირადად არ არიან პასუხისმგებელნი მოვალის ვალდებულებებისათვის;

ბონდზე აღსრულების მიქცევის ხანდაზმულობის ვადაა, მმართველის მოხსნიდან 2 წელი.⁷⁴

განსხვავება გვაქვს ქართულ კანონმდებლობაში, სადაც მმართველს გააჩნია პასუხისმგებლობა თავისი ქმედებებისათვის ყველა კრედიტორის მიმართ. გარდა ამისა, თუ ისე ვერ დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას, ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, არსებობს მისი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის საშუალებებიც.⁷⁵

3.2 UNCITRAL - (United Nations Commission on International Trade Law) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო

⁷³ United States Bankruptcy Code, 2019 edition. Section 702. ინტერნეტ მასალა, იხ. :

<https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

⁷⁴ ინტერნეტ მასალა, United States Bankruptcy code. იხ. : <https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/> (08.05.2019წ)

⁷⁵ გადახდისუნარიობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, მუხლი 37-ე, ნაწილი მე - 4. ინტერნეტ მასალა, იხ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

ვაჭრობის შესახებ რეგულაციები და მათი შედარება ქართულ სამართალთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დებულება საკმაოდ საინტერესო რეგულაციებს აწესებს გაკოტრების სამართალში. გაკოტრების კანონი ეხება ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირს, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით არის მოხსენიებული : „ლიკვიდატორები“, „ადმინისტრატორები“, „რწმუნებულები“, „მიმღები“, „კურატორები“, „სასამართლო მენეჯერები“, „კომისრები“, „მმართველები“ და ა.შ.. აღნიშნულ პირებს ზოგადად მოიხსენებს როგორც „გადახდისუნარობის წარმომადგენელს“ და აწესებს ფუნქციონირებას სპექტრს, რომელიც უნდა შესრულდეს ფართო გაგებით, მიუხედავად მათი კონკრეტული სახელწოდებებისა.⁷⁶

UNCITRAL - ის „ კანონმდებლობის გამკველვეი გაკოტრების სამართალში“ 35-ე მუხლი არეგულირებს წარმომადგენლის, მათ შორის მმართველის თვისებებს, თუ როგორი უნდა იყოს იგი. კანონმდებლობით დადგენილია, რომ წარმომადგენელი უნდა იყოს კვალიფიციური, გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და პირადი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მხოლოდ ეფექტურობას და ეფექტურ ქცევას სამართალწარმოებისას, არამედ ეს თვისებები უნდა გამოხატავდეს აგრეთვე მათ თავდაჯერებულობას გადახდისუნარობის საქმის წარმოებისას.⁷⁷

აღნიშნული მუხლთან მსგავსია გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონის 37-ე მუხლის მე - 3 ნაწილი, სადაც დადგენილია მმართველის ხასიათი. ორივე შემთხვევაში საერთოა მოთხოვნა კვალიფიკაციასთან

⁷⁶ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”, Part 1.

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁷⁷ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”. Clause 35.

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

დაკავშირებით, თუმცა ზემოთ ხსენებული მოთხოვნებისგან განსხვავებით, ქართული სამართალი ითხოვს აგრეთვე მმართველის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და კეთილსინდისიერებას.⁷⁸

როდესაც გაკოტრების წარმომადგენელი დანიშნულია შუალედურ საფუძველზე სასამართლოს მიერ, ვიდრე გაკოტრების პროცედურები დაიწყება, ამ პირის უფლებამოსილება და ფუნქციები ჩვეულებრივ განისაზღვრება სასამართლოს მიერ. იმდენად, რამდენადაც წარმოების შემდგომ დანიშნული წარმომადგენელი იგივეა რაც წარმოების დაწყებამდე დანიშნული, შუალედური გადახდისუნარობის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს იგივე კვალიფიკაცია, პასუხისმგებლობა და ანაზღაურების განაკვეთი, როგორც წარმოების გახსნის შემდგომ დანიშნულს.⁷⁹

გადახდისუნარობის წარმოების სირთულიდან გამომდინარე ბევრ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუნარობის წარმომადგენელი იყოს მაღალ კვალიფიციური კანონის ცოდნით, ეს უნდა იყოს არა მხოლოდ გადახდისუნარობის, არამედ მასთან დაკავშირებული კანონებიც : კომერციული, ფინანსები, ბიზნეს სამართალი. აგრეთვე ადეკვატური გამოცდილება უნდა ჰქონდეს ფინანსურ და კომერციულ საკითხებში, მათ შორის ბუღალტერიაში. გადახდისუნარობის საქმის წარმომადგენელს მოეთხოვება, რომ წარმოაჩინოს მისი კომპეტენცია მისთვის მინიჭებულ სხვადასხვა საქმეებში და გარემოებებში, რომლებიც სადავოა, უნდა იყოს ლიკვიდაციის თუ რეორგანიზაციის პროცესში, იქ, სადაც დროის შეზღუდვა შეიძლება დააწესოს გადახდისუნარობის კანონმა, სადაც კომერციული მოთხოვნები უნდა დაბალანსდეს კანონის შეხედულებების საწინააღმდეგოდ, სადაც საჭიროა იმოქმედო სხვების ინტერესებისთვის, როგორც

⁷⁸ გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, 37 – ე მუხლი, ნაწილი მე -3.

ინტერნეტ მასალა, იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

⁷⁹ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

არის მაგალითად კრედიტორების ინტერესი, ან შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ინტერესიც. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა უფრო კონკრეტული ცოდნა, ასეთი საქმე ხშირად დაქირავებული ექსპერტების მიერ იმართება. ზოგიერთ შემთხვევაში პირს მოეთხოვება ისეთი საკითხების ცოდნა, როგორც არის მაგალითად მოვალის კონკრეტული ბიზნესი, მისი აქტივები და ბაზრის ცოდნა, სადაც ის მოქმედებს.⁸⁰

გადახდისუნარობის წარმომადგენლის პიროვნული თვისებების უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლობის დემონსტრირება მინიჭებული ინტერესიდან გამომდინარე, იქნება ეს ოჯახური, ეკონომიკური თუ სხვა. საბოლოო ჯამში, სასურველია, რომ გადახდისუნარობის კანონმა დააწესოს ვალდებულება, რომ გამჟღავნდეს არსებული ან მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც დანიშნულ პირს შეეხება, როგორც საქმის წარმოების წარმომადგენელს. კანონი უნდა დაკონკრეტდეს, ვისთვის უნდა გაკეთდეს გამჟღავნება. გარემოებები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის ტოლია და იწვევს შედეგებზე ზემოქმედებას, შეიძლება აღმოჩენილ იქნას როგორც წარმოების დანაშაულისას, აგრეთვე შემდგომ საფეხურებზე.⁸¹

რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს ქართულ კანონმდებლობაში, გადახდისუნარობის კანონის 37 - ე მუხლის მე-3 ნაწილში განმარტებულია, რომ გაკოტრების მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.⁸²

⁸⁰ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁸¹ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁸² გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი 37-ე მუხლი, მე - 3 ნაწილი.

აღნიშნული წიგნის 43-ე მუხლში უფრო კონკრეტულად არის განხილული ინტერესთა კონფლიქტის სახეები. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მაგალითად მოვალესთან მანამდე არსებული ურთიერთობის გამო. მოვალესთან ადრე ან ახლა არსებული ბიზნეს ურთიერთობის გამო. მასში იგულისხმება, რომ იყო იმ ტრანზაქციის მონაწილე მხარე მოვალესთან, რომელიც მიმართულია გაკოტრების საქმის წარმოებაში, ან შესაძლებელია იყო მოვალის მოვალე, ან სულაც მოვალის კრედიტორი. ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს აგრეთვე გარიგება კრედიტორთან ან მოვალესთან; ადრე არსებული გარიგება მოვალის წარმომადგენელთან ან ოფიცერთან; ურთიერთობა მოვალის კონკურენტთან;⁸³

გადახდისუნარობის კანონს სხვადასხვა მიღწევები გააჩნია წარმომადგენლის არჩევასა და დანიშნასთან დაკავშირებით. პირველი ნაბიჯი მოიცავს განსაზღვრებას პოტენციური წარმომადგენლის დანიშნასთან დაკავშირებით. გადახდისუნარობის წარმომადგენლები შეიძლება შეირჩეს სხვადასხვა ფონისგან, რაც წარმოდგენილია მეორე ნაწილის მესამე თავში:

მონაწილეები. N177 :

ბიზნეს საზოგადოების, წარმომადგენლები სამთავრობო დანესებულების სპეციალური სამსახურებიდან, ან კერძო სექტორის კვალიფიციური პირებიდან, (იურისტები, ბუღალტრები და სხვა პროფესიის პირები). ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, გაკოტრების საქმის წარმოებიდან გამომდინარე, მასში შეიძლება ჩართული იყოს საჯარო მოხელე, სხვადასხვა სახელწოდებით, („ოფიციალური რწმუნებული“, „ოფიციალური მიმღები“ ან „თანამდებობის პირი“). უმეტეს შემთხვევაში, კანონით დადგენილია, რომ წარმომადგენლად უნდა დაინიშნოს ფიზიკური პირი, თუმცა არის დაშვებაც, რომ იგი იყოს იურიდიული პირი, რა თქმა

⁸³ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

უნდა კვალიფიციური და მისი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს რეგულაციების შემუშავებისკენ.⁸⁴

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გაკოტრების საქმის წარმოების მმართველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირი. თუმცა ჩვენს შემთხვევაშიც, იურიდიული პირი საქმიანი რეპუტაციის მქონე უნდა იყოს. აღნიშნული რეგულაცია პირდაპირ არის მითითებული საქართველოს 2007 წლის კანონში, გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ. რაც შეეხება საჯარო მოხელეს, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაშიც არის დაშვებული, რომ გაკოტრების მმართველი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, უფრო კონკრეტულად აღსრულების ეროვნული ბიურო.

საქართველოს კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ 37 - ე მუხლის მე -2 ნაწილში მიუთითებს, რომ : „ გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. გაკოტრების მმართველის არჩევის/დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში “. ⁸⁵

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩართვამ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ზოგი თვლის, რომ ეს აუცილებელია, ზოგი კი დაუშვებლად მიიჩნევს ამ ფაქტს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

⁸⁴ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law” . Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁸⁵ გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, 37 - ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

დავუბრუნდეთ UNCITRAL - ის გაკოტრების საქმის წარმოების საკანონმდებლო გზამკვლევის.

შემდგომი ნაბიჯი არის, რომ განვსაზღვროთ იმ პირთა დანიშვნის პროცედურა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოადგენდნენ გაკოტრების საქმის წარმოების წარმომადგენელს ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეებზე. ბევრი ქვეყნის იურისდიქციაში, სწორედ სასამართლოა ის, ვინც წარადგენს, ნიშნავს და მეთვალყურეობს წარმომადგენელს. შერჩევა უნდა გაკეთდეს სასამართლოს შეხედულებისამებრ კვალიფიციურ და პროფესიულ პირთა სიიდან. აგრეთვე, წარმომადგენელი შეიძლება არჩეულ იქნეს მოვალის ან კრედიტორის რეკომენდაციით.⁸⁶

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულ საკითხში, საქართველოს გააჩნია ანალოგიური რეგულაციები. გაკოტრების მმართველის დანიშვნა, შესაძლებელია, როგორც სასამართლოს ინიციატივით, აგრეთვე კრედიტორის ან მოვალის მოთხოვნის საფუძველზე.⁸⁷

ზოგიერთ იურისდიქციაში, არსებობს ცალკეული ოფისი ან დანესებულება, რომელიც პასუხისმგებელია მთელს წარმომადგენლობაზე ზოგადი რეგლამენტის საფუძველზე. იგი ირჩევს გაკოტრების საქმის წარმოების მმართველს მას შემდეგ, რაც სასამართლო იტყვის, რომ ეს უნდა გაკეთდეს ასე. უპირატესობა ამ დამოუკიდებელი დანიშვნის გამოიხატება იმაში, რომ აღნიშნული მიდგომით საშუალება ეძლევა ამ ორგანოს ყურადღება მიაპყროს პროფესიონალ კადრებს, რომლებიც გამოდგებიან კონკრეტულ, ისეთ საქმეებზე, რომლთაც ინდივიდუალური მიდგომა სჭირდებათ, რომ გაუმკლავდნენ სხვადასხვა

⁸⁶ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁸⁷ გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი, 37 -ე მუხლი.

გარემოებებს, მაგალითად მოვალის ბიზნესს ან განახორციელონ საჭირო აქტივობები.⁸⁸

უნდა ითქვას, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის არც მსგავსი ინსტიტუტი და არც რაიმე ორგანო, რომელიც მოამზადებს პირებს გაკოტრების საქმის წარმოების ხელმძღვანელობისთვის, რადგან ამისათვის მხოლოდ კანონის ცოდნა არ არის საკმარისი. ზოგიერთ შემთხვევებში აუცილებელია ეკონომიკის ცოდნა, ზოგჯერ საჭიროა ბუღალტერული თვისებები, ან მენეჯერული თვისებები, მმართველობის უნარ - ჩვევები. მაგალითად, გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ 1996 წლის კანონი მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებდა გაკოტრების მმართველს, მიუთითებდა შესაბამის გამოცდილებაზე. თუ საქმეში ჭარბობდა სამართლებრივი საკითხები - მმართველებად ინიშნებოდნენ ადვოკატები, თუ გადასაწყვეტი იყო ეკონომიკური საკითხები საქმის წარმოებას უძღვებოდნენ რევიზორები, ან აუდიტორები, ან ეკონომიკური განათლების მქონე ადამიანები. თუ საქმეში მოვალის საწარმოს მართვასთან იყო კავშირი, მაშინ ასეთი სახის გაკოტრების საქმის წარმოებას უძღვებოდნენ მენეჯერები, ან მართვაში დახელოვნებული პირები.⁸⁹

IV თავი

4.1 ახალი კანონპროექტი

⁸⁸ UNCITRAL – Legislative Guide of Insolvency Law, Part Two “ Core provisions for an effective and efficient insolvency law”. Section B. “ Insolvency Representative”

ინტერნეტ მასალა, იხ. :

https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

⁸⁹ როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, (მესამე გადამუშავებული გამოცემა), თავი მე - 3, გვ. 90. გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი, 2017 წელი.

ახალი კანონპროექტი, თუ მან შეძლო ბარიკადების გადალახვა და ძალაში შევიდა 2019 წელს, იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ვალაუფალობის სამართლის განვითარებაში, რადგან მასში შესულია მთელი რიგი ცვლილებები. შემოდის ახალი ინსტიტუტი, რომელსაც ეწოდება „გადახდისუნარობის პრაქტიკოსი“, ვფიქრობ მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რომ მას ზედამხედველიც კი ვუწოდოთ. ახალი კანონით გაკოტრების საქმის წარმოებაში აუცილებელია მისი ჩართულობა. იგი ხასიათდება ისეთივე თვისებებით, როგორითაც გაკოტრების მმართველი.

„გადახდისუნარობის პრაქტიკოსი არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი“.⁹⁰

ცვლილებებია აგრეთვე მმართველის არჩევის ფორმაშიც. 2007 წლის კანონით „გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. გაკოტრების მმართველის არჩევის/დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში“.⁹¹ ახალი კანონპროექტით მას არც სასამართლო წარადგენს და არც კრედიტორთა კრებაზე დაისმევა ეს საკითხი. ეს პროცესი ელექტრონული სისტემის საშუალებით მიმდინარეობს.

⁹⁰ კანონპროექტი საქართველოს გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონზე, მუხლი 10. 2019 წელი.

⁹¹ საქართველოს 2007 წლის კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 37.

„რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი შეიქმნება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით“.⁹²

თუ არის ტექნიკური შეფერხება, მაშინ: „რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის, რეაბილიტაციის ზედამხედველის ავტომატურად შერჩევის ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველის ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით შერჩევა, რაც გულისხმობს საქმეების შემოსვლის რიგითობისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ერთიან რეესტრში მმართველების ანბანური რიგითობის მიხედვით შერჩევას“.⁹³

ამ შემთხვევაში ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა „პრაქტიკოსებმა“ გარკვეული გადამზადება გაიარონ, რათა შეძლონ თავიანთი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არ არის სამართლის ის დარგი სადაც ერთხელ წაიკითხავს ადამიანი კანონს და ერკვევა, აქ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს განვითარებული მაღალ დონეზე მენეჯერული უნარ ჩვევები, ლოგიკური აზროვნება და მრავალი სხვა.. როგორც არის ეს პრაქტიკა, თუნდაც ჩემს მიერ, ზემოთ მოყვანილი ქვეყნების კანონმდებლობაში, როგორც ამერიკის, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ რეგულაციებში, უფრო კონკრეტულად კი იმ ნორმათა ერთობლიობაში, რომელიც გამოსულია როგორც „გაკოტრების სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო“.

4.2 კრიზისი, როგორც შესაძლებლობა

„ საქართველოში საკმაოდ ბევრი კომპანია დგას გადახდისუნარობის რისკის წინაშე, თუმცა ცოტა მათგანი თუ ფიქრობს სამართლებრივ პროცესში

⁹² საქართველოს კანონპროექტი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 10. 2019 წელი.

⁹³ იქვე. მუხლი 10.

შესვლას დროულად, ანუ მანამ, სანამ აქტივები ჯერ კიდევ მათ ხელშია. ერთი შეხედვით, რატომ არ უნდა შედიოდეს კომპანიის ინტერესში პრობლემური აქტივის რეაბილიტაცია, ან ლიკვიდაცია, რათა განახლებული ძალებით შეუდგეს ახალი ბიზნესის კეთებას? პასუხი რეგულაციაშია. გადახდისუნარობის საქმის დაწყების მოტივაციას უნდა აჩენდეს სამართლებრივი ჩარჩო, კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რომელიც საქართველოში 2007 წელს მიიღეს, თუმცა დღეს ის არ აკმაყოფილებს არც მოვალის, არც კრედიტორისა და არც ეკონომიკის მოთხოვნებს. პროცესი ხარჯიანია და რთული, ხოლო შედეგი – განუჭვრეტადი. ვინაიდან არსებული კანონი არაერთ ნაწილში ჩამორჩება საუკეთესო პრაქტიკას, დონორი ორგანიზაციები ახალი კანონის შექმნის საჭიროებას ხედავენ. ⁹⁴ - აღნიშნულია ჟურნალი Forbes - ის სტატიაში, რომელსაც აქვს შემდეგი სახელწოდება : „ კრიზისი, როგორც შესაძლებლობა“.

და მართლაც... რა არის გაკოტრების სამართალი? ეს არის მოვალის შესაძლებლობა, ეს არის მოვალის შანსი, რომ შეასრულოს თავისი ვალდებულებები კრედიტორთა წინაშე და იმ შემთხვევაში, თუ სწორად წარიმართა გაკოტრების საქმის წარმოება, ან მოხდა საგაკოტრებო მორიგება, მოხდეს მისი რეაბილიტაციაც კი.

ამის მაგალითი არის ძალიან ბევრი, საერთაშორისო პრაქტიკაში.

„როცა 2012 წელს Kodak-მა გაკოტრების პროცესი დაიწყო, ცოტას თუ სჯეროდა, რომ ის ოდესმე დაიბრუნებდა ძველ დიდებას. კომპანიამ, რომელიც ფოტოგრაფიის ინდუსტრიის გიგანტი იყო ასი წლის განმავლობაში, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისთვის ფეხის აწყობა ვეღარ შეძლო და მისი გაყიდვები 2000 წლიდან მუდმივად მცირდებოდა. ლიკვიდაცია ერთადერთი გამოსავალი ჩანდა, თუმცა, ბევრის გასაკვირად, ერთი წლის შემდეგ რამდენიმე მილიარდდოლარიანი დავალიანების ჩამოწერისა და ზოგიერთი მოგებიანი

⁹⁴ ჟურნალი Forbes - კრიზისი როგორც შესაძლებლობა. 2016 წელი.
ინტერნეტ მასალა იხ. : <https://forbes.ge/news/1557/krizisi-rogorc-SesaZlebloba>

მიმართულების უმსხვილესი კრედიტორისთვის შეღავათიან ფასად დათმობის შედეგად, Kodak-ი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ლისტინგში დაბრუნდა ახალი კონცეფციით: ის აღარაფერს მიჰყიდდა საცალო მომხმარებელს და მთელ ძალისხმევას კორპორაციული კლიენტების მომსახურებისკენ მიმართავდა⁹⁵

მართალია ჩვენს ქვეყანაში არ არიან ასეთი მსხვილი კომპანიები, თუმცა ბევრია, ისეთი რომელსა ვალაუვალობის სამართლისაგან დახმარება სჭირდება, სწორი კანონმდებლობა სჭირდება, ისეთი ნორმატიული აქტები სჭირდება, რომელიც მათ დახმარებას შეძლებს და არა მკვდარი კანონები, რომლებიც მხოლოდ ფურცელზე წერია და არ გამოიყენება. ის რომ კანონი ეფექტური არ არის, ამაზე მონიშნავს ზემოთ ხსენებულ სტატიაზე თან დართული ცხრილი, რომელშიც ასახულია გადახდისუნარობის საქმის წარმოებები საქართველოში.

გადახდისუნარობის საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოში

ამ პროცესს გაურბიან, რადგან იგი ხარჭიანია და რთული, ხოლო შედეგი – განუზღვრებელი.

პერიოდი	განხილული	აღძრული	უარყოფილი	დახურული
2009	23	28	17	3
2010	30	36	23	16
2011	27	31	16	8
2012	33	49	32	18
2013	32	53	45	5
2014	35	97	86	2
2015 (Q1)	44	21	14	-

წყარო: USAID G4G

2014 წელს ყველაზე მაღალია თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდისუნარობის საქმეზე მიმართვიანობა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ 97

⁹⁵ უენალი Forbes - კრიზისი როგორც შესაძლებლობა. 2016 წელი. ინტერნეტ მასალა იხ. : <https://forbes.ge/news/1557/krizisi-rogorc-SesaZlebloba>

აღძრული საქმიდან უარყოფილი იქნა 86, საქმის წარმოება დაიწყო 11 სასარჩელო მოთხოვნაზე და აქედან მხოლოდ 2 საქმე იქნა დახურული.

2012 წელს საქმის დახურვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ეს არის 18 საქმე, სულ აღძრული იქნა 49, ხოლო უარყოფილი იქნა 32 საქმე.

საკმაოდ საინტერესო მაჩვენებელია 2015 წელს, განხილულია 44 საქმე, აღძრულია 21, აქედან უარყოფილია 14 საქმე და არც ერთი მოთხოვნა არ არის დასრულებული.

რა თქმა უნდა 2015 წლის შემდგომ 4 წელია გასული, თუმცა გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში ამ პერიოდში ცვლილება არ განხორციელებულა, რადგან, იგივე კანონი მოქმედებდა ამ კვლევის ჩატარების პროცესშიც, ეს იყო 2009 – 2015 წლები, და იგივე კანონი მოქმედებს ახლაც.

არსებობს ბევრი გახმაურებული საქმე. მაგალითად „გუდვილი“, „მარშე“. თუმცა ეს საქმეები არ გამოდგება იმ პრაქტიკისთვის, რომ მოვალეებმა გაბედონ გადახდისუნარობის საქმის დაწყება საკუთარი თავის მიმართ. გარდა კანონის არაეფექტურობისა, არის მთელი რიგი პროცესები, რამაც შეიძლება მაინც საწარმოს განადგურებისკენ მიგვიყვანოს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო ინტერესი.

როგორც კი გაკოტრების მმართველი ინიშნება იგი ფიქრობს როგორ გაყიდოს ქონება საუკეთესო პირობებით. მას შეიძლება საკმაოდ რთული გადაწყვეტილებების მიღება მოუწიოს. როინ მიგრიაული იხსენებს გაკოტრების საქმეს „ჭიათურ მანგანუმში“, სადაც მეხუთე რიგის კრედიტორებში ხვდებოდნენ მუშაკები, რომელთა მიმართაც 3 მილიონის დავალიანება ჰქონდა მოვალეს. მაგრამ, მეხუთე რიგი ინიშნავს იმას, რომ დიდი ალბათობით ისინი ვერაფერს მიიღებდნენ. როგორც გაკოტრების მმართველმა, მან კონკურსის პირობა ჩადო შემდეგნაირად, რომ თუ კონკურსის წესით ვინმე საწარმოს შეიძენდა, პირველად ამ 3 მილიონის გადახდა უნდა განხორციელებინა იმის ზევით, რაც დანარჩენი

კრედიტორებიდან დარჩებოდა. თუმცა სამწახაროდ შედეგის დადგომა ვერ მოხერხდა. რადგან გაკოტრების მმართველი აღმოჩნდა უცხო სხეული მთავრობისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოსა და გაკოტრების მმართველის ინტერესი არ დაემთხვა ერთმანეთს. შესაბამისად სახელმწიფომ იგი გაათავისუფლა და სხვა მმართველი დანიშნა მის ადგილზე.

ეს არის სწორედ ერთ - ერთი მაგალითი იმის, თუ რატომ არის რთული და საპასუხისმგებლო მმართველის საქმიანობა, თუ რატომ არის დაუშვებელი რომ გაკოტრების მმართველობა შეითავსოს საჯარო სამსახურის იურიდიულმა პირმა. რადგან, არ შეიძლება ადამიანის პირად კანონიერ ინტერესზე მაღლა დავაყენოთ მთავრობის ინტერესი, როცა მართლმსაჯულება და სიმართლე ადამიანის მხარეს დგას.

დასკვნა

როგორც დაინახეთ, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არსებული საქართველოს 2007 წლის გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ შესახებ კანონი გარკვეულწილად ესადაგება საერთაშორისო ნორმებს, თუმცა საკმაოდ დასახვეწია გაკოტრების მმართველის სტატუსი, მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ უმჯობესია მმართველის ფუნქციები შეასრულოს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რადგან მათი აზრით, კონკრეტული პირების მმართველად დანიშვნა კორუფციის რისკს გაზრდის.

თუმცა, ვფიქრობ, რომ როდესაც საქმე გვაქვს ისეთ სტატუსთან, რომელზეც დამოკიდებულია გაკოტრების საქმის ხარისხიანი და ეფექტური წარმოება, რამაც შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე უნდა იქონიოს გავლენა, ჩვენ ვალდებულები ვართ ორიენტირებულები ვიყოთ ამ დარგის ეფექტურ მუშაობაზე. მმართველის სტატუსი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის ხშირად სახელმწიფოსაც კი უპირისპირდება. რა თქმა უნდა ძნელია ერთმა ადამიანმა შეძლოს მასთან საკუთარი სიმართლის გატანა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც დეტალები დაიხვეწება, როდესაც დემოკრატია განვითარდება, ნაბიჯ - ნაბიჯ, ჩვენ მივალთ იმ დრომდე, სადაც სწორი აზრი გაიმარჯვებს და არა ის ვინც ძლიერია. რაც შეეხება, იმ მოსაზრებას, რომ მმართველის დანიშვნა რაიმე ფორმით კორუფციის რისკს გაზრდის, ვფიქრობ კანონით ამის დარეგულირება შესაძლებელია. გარდა ამისა, ეს მხოლოდ მოსაზრებაა. რადგან, ჩვენ გვქონდა ისტორიულად ისეთი პერიოდი, 1996 წლიდან 2007 წლამდე, როდესაც მმართველი აქტიურ საგაკოტრებო საქმიანობას ახორციელებდა და როგორც ვიცით, კორუფციის ფაქტებთან საქმე არ გვქონია. ამასთანავე 1996 წლის კანონით მასზე ზედამხედველობას ახორციელებდა სასამართლო, ხოლო 2007 წლის კანონში უკვე მმართველის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა გვხვდება.

ამასთან, მზადდება ახალი კანონი, რომელშიც მთელი რიგი ცვლილებები იგეგმება, ხოლო ზედამხედველის სახით შემოდის ახალი ფიგურა „გადახდისუნარობის პრაქტიკოსი“, რომელიც დააკვირდება პროცესებს, მათ შორის გაკოტრების საქმის წარმოებას.

აუცილებელია, რომ დროულად მოხდეს ყველა იმ პრობლემაზე რეაგირება, რომელიც ხელს უშლის გაკოტრების საქმის ეფექტურ, დროულ და ხარისხიან წარმოებას. იმისათვის რომ მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები, იმისათვის რომ ადგილობრივ მცირე თუ მსხვილ ბიზნესმენებს არ ჰქონდეთ ბიზნესის წამოწყების შიში. მითუმეტეს რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ქვეყნის, რომელიც განვითარების საფეხურზე დგას, მაგრამ მუდამ ებრძვიან, ნამდვილად სჭირდება ხელშეწყობა, რომ განვითარდეს და გადალახოს დღეისათვის არსებული წნეხები, რომლებიც უკან ხევს მის ეკონომიკას..

„დარგის სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ, თუკი ახალი კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ ყველა ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, 2000-ზე მეტ წარუმატებელ ბიზნესს მეყსეულად გაუჩნდება ახალი დასაწყისით წარმატების მიღწევის შანსი“.⁹⁶

ასე, რომ.. გაუფრთხილდეთ გაკოტრების კანონს და... პრეზიდენტს...⁹⁷

⁹⁶ უურნალი Forbes - კრიზისი როგორც შესაძლებლობა. 2016 წელი.

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://forbes.ge/news/1557/krizisi-rogorc-SesaZlebloba>

⁹⁷ როინ მიგრიაული „ქართული კერძო სამართლის საკითხები“ (მეორე შევსებული გამოცემა) ინტერვიუ „ გაუფრთხილდით გაკოტრების კანონს და... პრეზიდენტს“ გამომცემლობა „ იურისტების სამყარო ” თბილისი, 2016 წელი

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“

ინტერნეტ მასალა იხ : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

საქართველოს კანონი „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962>

საქართველოს კანონი „ კანონთა და განკარგულებათა კრებული“ 1931 წელი

ინტერნეტ მასალა იხ. : [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/43214/1/Kanonta Da Gankargulebata Krebuli 1931 N19.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/43214/1/Kanonta_Da_Gankargulebata_Krebuli_1931_N19.pdf)

საქართველოს კანონი „ გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ 1996 წელი

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>

საქართველოს კანონი „ გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ “ 2007 წელი

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=28>

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე

როინ მიგრიაული „ გაკოტრების მმართველის სამართლებრივი სტატუსი 1996 წლის გაკოტრების კანონისა და 2007 წლის გადახდისუნარობის კანონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. სამართლის უერთალი N1,2013წელი.

როინ მიგრიაული „ ქართული კერძო სამართლის საკითხები“ (გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა პუბლიკაციები) (მეორე შევსებული გამოცემა), გამომცემლობა „ იურისტების სამყარო “, თბილისი, 2016 წელი.

როინ მიგრიაული „ შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში „ (დამხმარე სახელმძღვანელო), მე - 3 გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი. 2017 წელი.

როინ მიგრიაული, ჰაინრიხ შნიდკერი - გადახდისუნარობის საქართველოს კანონ, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველო კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, გამომცემლობა შპს „სიესტა“, თბილისი, 2011 წელი.

სტუდენტური ფორუმი. არჩილ რუხაძე - გაკოტრების სამართლის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ქართული სამართლის მიმოხილვა. თბილისი. 7/2004/4.

ინტერნეტ მასალა იხ :

<http://www.library.court.ge/upload/gakotrebis%20samartlis%20istoria.pdf?fbclid=IwAR3FDcBsFuj8Wwry077LgZx68zS3Xxq5Vd16lwAVsdr016FsCpWZ2GLcJcY>

სტატიები

ინტერნეტ მასალა. Eugeorgia.info - ს სტატია „ გადახდისუნარობის სისტემის სირთულე ინვესტიციების შემოსვლას აფერხებს “. იხ. <http://eugeorgia.info/ka/article/406/gadaxdisuunarobis-sistemis-sirtule--investiciebis-shemosvlas-aferxibs-/>

ინტერნეტ მასალა : თეა წულუკიანი „ გადახდისუნარობისა და აღსრულების მიმართულებით მასშტაბური ცვლილებები დაიწყება “. იხ : http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8441

ჟურნალი Forbes - კრიზისი როგორც შესაძლებლობა. 2016 წელი.

ინტერნეტ მასალა იხ. : <https://forbes.ge/news/1557/krizisi-rogorc-SesaZlebloba>

უცხო ქვეყნის მასალა

United States Bankruptcy code. ინტერნეტ მასალა იხ . : <https://www.usbankruptcycode.org/chapter-7-liquidation/subchapter-i-officers-and-administration/section-702-election-of-trustee/>

UNCITRAL (United Nations of International Trade Law) – Legislative Guide on Insolvency Law. United Nations, New York, 2005. ინტერნეტ მასალა, იხ. : https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf

ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy Law . იხ. :

https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law

ინტერნეტ მასალა. History of Bankruptcy law in the United States.

https://en.wikipedia.org/wiki/History_of_bankruptcy_law_in_the_United_States

ინტერნეტ მასალა. იხ. : Renaissance England

https://en.wikipedia.org/wiki/Bankruptcy_Law_Consolidation_Act_1849

https://en.wikipedia.org/wiki/Bankruptcy_Act_1869